ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

5 მარტიდან!

3ფ[ფკბ სფჯ,ფ4

\+

ეს სამყაროა

მფრინავები

!) კფჰბ




[esif,fsb7 ^ vfhnb7 @)!$ | 154 (6365) | afcb5 #) stshb

# გივი თარგამაძეს და ირმა ნადირაშვილს სასამართლოში უჩივიან



გვ.5



## ნუკრი ქანთარია: ნაციონალებმა ენას კბილი დააჭირეთ!“

გვ.5



მამუკა კაციტაძე: გიგი უგულავამ თბილისის საკრებულო ყველაზე უფუნქციო ორგანოდ აქცია“ გვ.4



რა შემთხვევაში დაამხობს ნაციონალური მოძრაობა ქართულ ოცნებას“ გვ.2





დემურ გიორხელიძე: საქართველო აბსოლუტურად დაუცველი ქვეყანაა“ გვ.3

## შემოდგომიდან ავტომობილების სანომრე ნიშნების ფორმა და დიზაინი შეიცვლება

გვ.2



ვალერი გელბახიანი: ოცნება და ნაციონალები ერთმანეთს ეჯიბრებიან“ გვ.7



ავთანდილ დემეტრაშვილი: კონსტიტუციით განსაზღვრული არ არის, რა ფორმისაა ჩვენი სახელმწიფო“ გვ.6



ირაკლი ალასანია: რუსეთს არ შეუძლია ნატოსთან და ევროკავშირთან გრძელვადიან დაპირისპირებაში შევიდეს“ გვ.3

ISSN 1987-9385

9 771987 938006

3 პატრიარქი მსოფლიო საეკლესიო კრების მოსამზადებელ შეხვედრას დაესწრება

6 სოფლებში ნაგვის ბუნკერებს დადგამენ

4 მთავარმა პროკურატურამ გიორგი ონიანს კიდევ ერთი ბრალი წარუდგინა

6 ახალგაზრდა ადვოკატები“ საზოგადოებას მიმართავენ

კევ]ბ ოზსტკბ .ღზსტკბ იფღზ

# რა შემთხვევაში დაამხობს ნაციონალური მოძრაობა ქართულ ოცნებას“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავასთან



***— როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ოპოზიციის გარკვეულმა ნაწილმა თბილისის მერობის კანდიდატად თქვენ დაგასახელად... თქვენ მთლიანად არასაპარლამენტო ოპოზიციის კანდიდატი იქნებით?***

— ჯერჯერობით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიგვიღია, ეს არის მოსაზრება. ჩვენ ველოდებით ჯერჯერობით კიდევ უახლოესი დღეები ალბათ კონსულტაციების დასრულებას სხვადასხვა პარტიებთან და ამის შემდეგ უკვე გამოვაცხადებთ საბოლოოდ კანდიდატურას. საქმე ისაა, რომ ჩვენ არ გვინდა კანდიდატურა თბილისის მერობის იქნება თუ ნებისმიერი სხვა კანდიდატურა შევთავაზოთ ჩვენს პარტნიორ პოლიტიკურ პარტიებს, როგორც ულტიმატუმი, რომ შემდგომ ამან არ ჩაშალოს მოლაპარაკებები. თუ რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან ერთიანობა დამოკიდებულია იმაზე, რომ სხვა კანდიდატურა უნდა იყოს თბილისში იქნება ეს თუ სხვაგან, ჩვენ მზად ვართ, რომ ჩემი კანდიდატურაც მოვხსნათ და სხვაგანაც კომპრომისზე წავიდეთ.

***— ესე იგი შესაძლოა შეიცვალოს თქვენი კანდიდატურა, ეს საბოლოო გადაწყვეტილება არ არის?***

— დიახ, საბოლოო გადაწყვეტილება ჩვენ არ მიგვიღია, ვინაიდან ჩვენთვის ერთიანობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი კანდიდატურა.

***— ზოგადად მოლაპარაკების კუთხით რა ხდება? კვლავ მიმდინარეობს კონსულტაციები?***

— გუშინ „ქართულმა დასმა“ და „თავისუფალმა საქართველომ“ გავაკეთეთ ერთობლივი განცხადება, ჩვენ ვართ ჩამოყალიბებული იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია არასაპარლამენტო პოზიციის ერთიანობა და ველოდებით პასუხს ჩვენი კოლეგებისგან, პირველ რიგში, ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური ჯგუფისგან. მას შემდეგ, რაც ყველა პოლიტიკური ძალა ჩამოყალიბდება, სურს თუ არ სურს ერთობა და ეს უნდა მოხდეს უახლოეს დღეებში, ჩვენ უკვე ოფიციალურად დავიწყებთ საარჩევნო კამპანიას. ეს იქნება ბლოკის ფორმირებაც, კანდიდატების დასახელებაც და ასე შემდეგ.

***— საერთოდ არ არის თქვენთვის ცნობილი, თუ რას აპირებს ნინო ბურჯანაძე თუ რაღაც დონეზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები?***

— არ არის ცნობილი, რადგან საბოლოო გადაწყვეტილებები მას მიღებული არა აქვს.

***— როგორ ფიქრობთ, შეძლებს ოპოზიცია, რომ ბოლოს და ბოლოს გაერთიანდეს? რა პირი უჩანს ამ ყველაფერს?***

— მე ვიტყოდი, რომ ამ ეტაპისთვის 50/50-ზე არის შანსები და მე ვფიქრობ, რომ საზოგადოებრივ აზრსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმაზე, თუ როგორ ჩამოყალიბდება საბოლოო ჯამში არასაპარლამენტო ოპოზიცია. პირადად მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არასაპარლამენტო ერთობას ალტერნატივა არა აქვს და ეს ინტერესი უნდა დადგეს უფრო წინ, ვიდრე სხვადასხვა ვიწროპარტიული ინტერესები. თუმცა ამ შემთხვევაში ყველაფერი ჩემზე არ არის დამოკიდებული.

***— მაინც გაქვთ იმედი წარმატების?***

— მე მაქვს ამის იმედი. ოპტიმისტი ვარ და იმედს არ ვკარგავ, რომ ჩვენი რომა და ძალისხმევა შედეგს გამოიღებს.

***— რაც შეეხება ხელისუფლებასთან მიმდინარე მოლაპარაკებებს, არის შანსი, რომ კიდევ რაიმე დათმონ?***

— იცით, ერთგვარად ამ არასაპარლამენტო ოპოზიციაში არჩევნების მოახლოებამ, ჩემი აზრით, მოახდინა ცუდი ზეგავლენა საარჩევნო რეფორმაზე. იმიტომ, რომ პოლიტიკური პარტიები სანამ ვიყავით ერთიანი, აი, ამ ბრძოლაში-საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის, მანამდე ეს ბრძოლა მიმდინარეობდა ძალიან ეფექტურად და ჩვენ ვნახეთ, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა, დათმობებზე წამოსულიყო. ახლა, როდესაც ეს ერთობა დაირღვა და ყველა თავის ტყავზე თუ თავის კანდიდატზე ფიქრობს, სამწუხაროდ, ეს ბრძოლაც შენელდა. მე ვფიქრობ, რომ არასაპარლამენტო ერთობა, არა მარტო იმიტომ არის საჭირო, რომ არჩევნები მოვიგოთ, არამედ იმიტომაც საჭიროა, რომ საარჩევნო გარემოს რეფორმა ვაიძულოთ ხელისუფლებას.

***— თქვენ ბრძანეთ — ერთობა დაირღვა ოპოზიციაშიო, რატომ დაირღვა? გარიგებებს და გადაბირებებს ხომ არ აქვს ადგილი?***

— არა. უბრალოდ, ჩემის აზრით, აქ მოხდა ის მომენტი, რომ დავუშვათ დეკემბერში, როცა არჩევნებამდე საკმაოდ დიდი დრო იყო დარჩენილი და კანდიდატებზე საუბარი არ იყო, პარტიები მთლიანად იყვნენ კონცენტრირებული საარჩევნო გარემოზე და როგორც კი მოახლოვდა არჩევნები და გარკვეული კანდიდატები თუნდაც არაოფიციალურად დასახელდა, პარტიები, რომლებიც ერთმანეთს არ უყურებდნენ, როგორც კონკურენტებს, დღეს ერთმანეთს უყურებენ როგორც კონკურენტებს და ამან ერთგვარად ზიანი მიაყენა საარჩევნო რეფორმის პროცესს.

***— ბატონო კახა, რაც შეეხება ზოგადად ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ფონს?***

— ჩემი აზრით, პოლიტიკური ფონი მიექანება ჭაობისკენ. ახლა რომ გითხრათ ქვეყანაში რაიმე ფუჭდება, ასეთი ტრაგიკული და დრამატური ნამდვილად არაფერი არ ხდება საქართველოში, მაგრამ თავისთავად კატასტროფა არის ის, როდესაც ქვეყანაში არაფერი არ ხდება. იმიტომ რომ თანამედროვე მსოფლიოში წარმატებული არის მხოლოდ ის ქვეყნები, რომლებიც ახორციელებენ რეფორმებს, რომლებიც მუდამ პროგრესის და ზრდის პროცესში არიან. როგორც ილია ამბობს: მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის სიცოცხლის და განვითარების საწყისი და საქართველოს მთავრობამ სამწუხაროდ აირჩია აი ასეთი კურსი, რომ ნუ იქნება ოღონდ ბუნტი და არ ატარებენ არც ეკონომიკურ რეფორმებს, არც სამართლებრივ რეფორმებს, უარი თქვეს თავიანთ ყველა დაპირებაზე და კმაყოფილნი არიან იმით, რომ რაღაც წვრილ-წვრილ ქონების გადანაწილებაში იღებენ მონაწილეობას. ჩემი აზრით, ეს ძალიან მწარედ დაუბრუნდება უკან ამ ხელისუფლებას. ეს არის დაახლოებით ის კურსი, რასაც საქართველოში ატარებდა შევარდნაძე, რასაც უკრაინაში ატარებდა იანუკოვიჩი, რომ ასე ვთქვათ, მაქსიმალურად გაეხანგრძლივებინათ თავიანთი მმართველობა. კიდევ ერთხელ ვამბობ, თუ ღარიბაშვილის მთავრობა არ დაიწყებს რეფორმებს, მაშინ საქართველოში მწვავე კრიზისი გარდაუვალია. ეს უბრალოდ დროის საკითხია.

***— ნაციონალები საკმაოდ მოძლიერდნენ და სახიფათონი გახდნენო. რას ფიქრობ თქვენ, რამდენად სახიფათოა დღეს ეს ძალა ქვეყნისათვის?***

— ქართული ოცნების და ნაციონალური მოძრაობის ისტორია, ძალიან ჰგავს ერთ იგავარაკს: მტრედმა რომ არწივის პატარა მართვე იპოვა, შეეცოდა და გაზარდა, შემდეგ ეს არწივი მოუბრუნდა უკან და შეჭამა თავისი გამზრდელი. ამ ეტაპზე ნაციონალური მოძრაობა არ არის საშიში ქართული ოცნებისთვის და როგორც საპრეზიდენტო არჩევნებში, ისე ადგილობრივ არჩევნებზე, მას, რა თქმა უნდა, გამარჯვების შანსი არ აქვს და არც ხელისუფლების შეცვლის შანსი აქვს. თუმცა ახლა ის პერიოდია, როდესაც მიმდინარეობს ზუსტად მისი დაფრთიანება. იმიტომ რომ ჩვენ ვხედავთ ქართული ოცნება ყველანაირად ხელს უწყობს მას იმისათვის, რომ ის გახდეს მთავარი ოპოზიციური ძალა და მან დაიკავოს მეორე ადგილი პოლიტიკურ ასპარეზზე. როდესაც დაფრთიანდება უკვე და ბრჭყალებს გამოაჩენს, მერე უკვე მათ ექნებათ იმისი პრეტენზია, რომ არამარტო ქართული ოცნების სატელიტი იყვნენ, არამედ ხელისუფლებაც შეცვალონ. ეს ყველაფერი ძალიან ცუდია. ჩვენ გვყავს ძალიან არაკომპეტენტური პრემიერ-მინისტრი, რომელსაც ინტელექტთან ცოტა პრობლემები აქვს და ის უყურებს მთელი ქვეყნის პოლიტიკურ პროცესს, მხოლოდ როგორც პოლიციელი. პოლიცია ვის ხელში იქნება, ეს არ განსაზღვრავს იმას, ვის ხელში იქნება ძალაუფლება. ნაციონალურ მოძრაობას აქვს ძალიან მძლავრი რესურსები, რომელიც ქართულ ოცნებას არა აქვს, პირველ რიგში ეს არის საერთაშორისო მხარდაჭერა. აქედან გამომდინარე, როცა ქვეყანაში შეიქმნება რაღაცა გარკვეული კრიზისის საბაბი, რომელიც შესაძლოა გარედანაც იყოს პროვოცირებული, მე ვფიქრობ ძალიან ადვილი იქნება ქართული ოცნების ბოლომდე დისკრედიტაცია და მისი დამხობა. რა თქმა უნდა, აქ მთავარ როლს შეასრულებს ნაციონალური მოძრაობა. ამიტომაც აი ეს პროცესი, რაც ახლა მიმდინარეობს, რომ ყველანაირად ხელს უწყობენ ნაციონალური მოძრაობის ლეგიტიმაციას, მე ვფიქრობ, რომ უკან მოუბრუნდება ქართულ ოცნებას. შეიძლება არა ამ არჩევნებზე, მაგრამ უახლოეს შემდეგ არჩევნებზე.

***— ვრცელდება ინფორმაციები, რომ მათი კოორდინატორები საკმაოდ გააქტიურებულან, დადიან მოსახლეობაში და ახალ-ახალ დაპირებებს იძლევიანო... თქვენ თუ გსმენიათ რამე ამის თაობაზე?***

— მე მსმენია კი იმის შესახებ მაგალითად, რომ ისინი ემზადებიან დასავლეთ საქართველოს რამოდენიმე რაიონში, რომ მაგალითად საერთოდ მოიგონ არჩევნები. მათ საპრეზიდენტო არჩევნებზე თითქმის მოიგეს სამეგრელოს რამდენიმე რაიონი და ყოველი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ჩვენ ვხედავთ იმასაც, რომ ქართული ოცნების რეიტინგი მკვეთრად დაეცა. ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, ეს იყო ყველაზე მძიმე თვეები ქართული ოცნებისთვის, აქ თავისი როლი ითამაშა როგორც იმან, რომ ბიძინა ივანიშვილის ნაცვლად ხელისუფლებაში მოვიდა ირაკლი ღარიბაშვილი, აგრეთვე იმანაც, რომ ხელისუფლებამ საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ ღიად გამოაცხადა თავისი რამდენიმე დაპირების უარყოფა, იგივე სამართლიანობის აღდგენა, მართლმსაჯულების დამდგენი ხარვეზების შექმნის კომისია, საარჩევნო კოდექსი იყო, თვითმმართველობის კოდექსი იყო, ყველაფერი ეს დაემთხვა წლის ბოლოს და რეიტინგი კიდევ უფრო მეტად დაეცა. მე არ გამოვრიცხავ, რომ არჩევნებამდე კიდევ უფრო მეტად დაეცეს ქართული ოცნების რეიტინგი, მით უფრო, რომ კანდიდატები, რომელსაც გვთავაზობს ქართული ოცნება, ეს აშკარად ვერ არის კონკურენტუნარიანი. თბილისში ნარმანია იქნება, ბათუმში — ერმაკოვი ჰყავთ, ქუთაისში მურღულია ჰყავთ, ანუ ისეთი კანდიდატები ყავთ, რომლებიც ადმინისტრაციული რესურსების გარდა არაფერს ფლობენ, მათი რეიტინგი არის ნოლი. თავიდან ბოლომდე არიან ადმინისტრაციული რესურსის იმედზე.

***— თქვენ ხედავთ იმის შანსს, რომ ნაციონალები გავიდნენ მეორე ადგილზე?***

— სწორედ იმიტომ ვცდილობთ ჩვენ არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთიანობას, რომ ეს გეგმები დავარღვიოთ. მე მარტომ შევძელი ნაციონალური მოძრაობის დამარცხება ნაძალადევის რაიონში, მაგრამ ეს იყო ძალიან მცირე უპირატესობა 17:15 მოვუგე. ახლა საპრეზიდენტო არჩევნებზე მათ დიდი უპირატესობით მოუგეს ნინო ბურჯანაძეს, ორ-ნახევარჯერ უფრო მეტი ხმები აიღეს და ადგილობრივ არჩევნებზე, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არა გვაქვს კიდევ ერთხელ გარისკვის უფლება, ჩვენ უნდა შევქმნათ არასაპარლამენტო ერთობა და არასაპარლამენტო ერთობას, მე ვფიქრობ, დიდი შანსი აქვს, რომ მეორე ადგილიც აიღოს და ზოგიერთ მუნიციპალიტეტში პირველი ადგილიც აიღოს.

***— საუბარია რომ ნაციონალები გეგმავენ მაიდანი საქართველოში გადმოიტანონო. რამდენად აქვთ ამის შანსი და რეალურად თუ ხედავთ ამ საფრთხეებს?***

— ახლა დღეს არა, იმიტომ რომ ნაციონალური მოძრაობა დღეს რომ გამოვიდეს ქუჩაში, უფრო მოსალოდნელი არის, რომ მათ ჩაქოლავს ხალხი, ვიდრე ის, რომ ისინი მოახერხებენ ხელისუფლების ჩაქოლვას. მაგრამ არის ასეთი ცნობილი გამოთქმა, არასდროს თქვა არასდროს და ჩვენ ვნახეთ ბოლო ოცი წლის მანძილზე, რომ ადამიანები, რომლებიც გვევლინებოდნენ რაღაც მომენტში საზოგადოებაში ძალიან პოპულარულებად, ძალიან მალე ხდებოდნენ მათთვის კატეგორიულად მიუღებელი, ან პირიქით, ხალხი, რომელიც იყო თითქოს დისკრედიტირებული, რაღაცა ერთი კონკრეტული მოვლენის შემდგომ უცებ ხდებოდნენ გმირები. ამიტომ იმის თქმა, რომ გავა რამდენიმე თვე და აი ეს მიმართება შენარჩუნებული იქნება, ჩემი აზრით ძალიან სარისკოა. როგორც ცოცხებმა შეცვალა ერთ წუთში ხელისუფლების და ოპოზიციის შანსები, 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე, აი რაღაცა ასეთმა მოვლენას შეუძლია ჩემი აზრით უცებ შეცვალოს საზოგადოებრივი აზრი. რაც მთავარია, ანალოგია რისთვისაც იქნება სწორი თბილისისა და კიევის მოვლენებს შორის, ეს არის საგარეო ფაქტორი. ჩვენ ახლა ყველა ძალიან კარგად უნდა ვხვდებოდეთ იმას, რომ მაიდანი ეს არ იყო, რა თქმა უნდა, უკრაინელი ხალხის წვლილი. ხალხის აზრი იქ შეიძლება იყო ერთი მესამედი, ხოლო ორი მესამედი მოდიოდა იქ იმ მილიონობით დოლარზე და საერთაშორისო პოლიტიკურ და საინფორმაციო მხარდაჭერაზე, რომელიც მათ აღმოუჩინეს დასავლეთის ძალიან კონკრეტულმა მთავრობებმა და სპეცსამსახურებმა. აი ეს ანალოგია შეიძლება საქართველოსთან მიმართებაში ადეკვატური იყოს, რომ საქართველოს შემთხვევაშიც.

## შემოდგომიდან ავტომობილების სანომრე ნიშნების ფორმა და დიზაინი შეიცვლება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო 2014 წლის შემოდგომიდან სატრანსპორტო საშუალებებზე ევროსტანდარტების მიხედვით სანომრე ნიშნების ფორმისა და დიზაინის შეცვლას გეგმავს. ახალი ნიშნების დიზაინის პრეზენტაცია მომსახურების სააგენტოში გუშინ გაიმართა.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, ძველი სანომრე ნიშნების ახლით შეცვლა სავალდებულო არ იქნება. ყველა ძველი სანომრე ნიშნის მოქმედების ვადა 2030 წლამდეა განსაზღვრული.

სხვადასხვა ტიპის სანომრე ნიშნების არსებული ფასი ახალ სანომრე ნიშნებზეც გავრცელდება. შსს-ს მომსახურების სააგენტო მათ, ვისაც ფასიანი სანომრე ნიშნები აქვთ აღებული, ძველი სანომრე ნიშნის იგივე ფასიან ახალ სანომრე ნიშანში გადაცვლას დამატებითი გადასახადების გარეშე სთავაზობს.

მომსახურების სააგენტო განახლებული დიზაინის სანომრე ნიშნების დამზადება-შესყიდვის მიზნით საერთაშორისო ტენდერს გამოაცხადებს. მასში მონაწილეობა როგორც ქართულ, ისე უცხოურ კომპანიებს შეუძლიათ.

ახალი სანომრე ნიშნის მარცხენა ზედა კუთხეში საქართველოს სახელმწიფო დროშა, ხოლო მარჯვენა ქვედა კუთხეში ქვეყნის საიდენტიფიკაციო კოდი იქნება გამოსახული. შეიცვლება ციფრებისა და ლათინური სიმბოლოების წყობაც: მარჯვენივ და მარცხნივ განთავსებულ წყვილ ლათინურ სიმბოლოებს შორის იქნება განლაგებული სამი ციფრი. სანომრე ნიშნის დაცულობის მიზნით, ახალ სანომრე ნიშნებზე ფალსიფიცირების საწინააღმდეგო ჰოლოგრამა დაიტანება — სახელმწიფო გერბის გამოსახულებით. ასევე გამოყენებული იქნება ევროსტანდარდების შესაბამისი სხვა დამცავი მექანიზმები.

საქართველოს ავტოპარკის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და იაპონიიდან იმპორტირებული ავტომობილებისთვის მომხმარებელს საშუალება ექნება, აიღოს და ავტომობილზე განათავსოს შესაბამისი ზომის კვადრატული სანომრე ნიშნები.

გარდა ამისა, შსს-ს ინფორმაციით, ცვლილებები შეეხება მისაბმელ სატრანსპორტო საშუალებებსაც. სანომრე ნიშნების ამოწურვის მიზეზით, ნომერში დაემატება ერთი სიმბოლო და შეიცვლება მათი დიზაინიც.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

## პატრიარქი მსოფლიო საეკლესიო კრების მოსამზადებელ შეხვედრას დაესწრება



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების მოსამზადებელ შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას. შეხვედრა სტამბოლში გაიმართება.

ამ მიზნით, პატრიარქი თურქეთში გუშინ გაემგზავრა და იქ დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში დარჩება. შეხვედრის სხვა დეტალები ამ დროისთვის ცნობილი არ არის.

ნიუსპრესი

## შს მინისტრი ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იბრაჰიმ რაჰიმპოურს შეხვდა.

შსს-ს ინფორმაციით, მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის საკითხები განიხლეს. გარდა ამისა, შეხვედრაზე საუბარი სამომავლო გეგმებსაც შეეხო.

ნიუსპრესი



## ირაკლი ალასანია: რუსეთს არ შეუძლია ნატოსთან და ევროკავშირთან გრძელვადიან დაპირისპირებაში შევიდეს“

თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებით, რუსეთს არ შეუძლია ნატო-სთან და ევროკავშირთან, როგორც სამხედრო, ასევე ფინანსური კუთხით, გრძელვადიან დაპირისპირებაში შესვლა

მინისტრის თქმით, უკრაინის შეიარაღებული ძალებიც ანგარიშგასაწევი სამხედრო ძალაა, მაგრამ საუბარია იმაზე, რომ ეკონომიკურ, ფინანსურ იზოლაციას, ასევე, „დიდი რვიანიდან“ გაყვანას და მდიდარი რუსების მიმართ სანქციებს, რუსეთის ეკონომიკაზე დამანგრეველი გავლენა ექნება.

„ეს ყველას კარგად აქვს გააზრებული და დარწმუნებული ვარ, პოლიტიკური დიალოგი, რომელიც ამერიკის, ევროკავშირის დაწყებულია, გარკვეულ შედეგს მოიტანს. მაგრამ ეს არ უნდა მივიღოთ ისე, რომ ყველაფერი თავისთავად ნორმალიზებული იქნება“– განაცხადა ალასანიამ და აღნიშნა, რომ უკრაინის ახალი ხელისუფლების მხრიდან სწორი ნაბიჯების გადადგმას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ირაკლი ალასანიამ აღნიშნულთან დაკავშირებით ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე, გადაცემა „არჩევანში“ ისაუბრა.

ნიუსპრესი



## ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოში თურქეთის ელჩს შეხვდა

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ზექი ლევენთ გუმრუქჩუს შეხვდა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრა საქართველოს მთავრობის კანცელარიაში გაიმართა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა საქართველო-თურქეთის ორმხრივ ურთიერთობებსა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე იმსჯელეს.

თურქეთის ახალმა ელჩმა პრემიერ-მინისტრს თურქეთის ხელისუფლების სახელით მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ ორი ქვეყნის პარტნიორობა და ერთობლივი პროექტები წარმატებით გაგრძელდება.

ზექი ლევენთ გუმრუქჩუ საქართველოში თურქეთის ახალი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია. მან ამ თანამდებობაზე მურათ ლევენთ ბურჰანი შეცვალა, რომელმაც დიპლომატიური მისია ცოტა ხნის წინ დაასრულა.

ნიუსპრესი

## ვიზიტორთა რაოდენობა იანვარ-თებერვალში წლიურად 7,3%-ით გაიზარდა

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა რაოდენობა მიმდინარე წლის თებერვალში, წინა წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 0.8%-ით გაიზარდა და 294 043 ვიზიტით განისაზღვრა. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკურ მონაცემებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი აქვეყნებს.

რაც შეეხება იანვარ-თებერვლის ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 613 542 ვიზიტი განხორციელდა, რაც 7,3%-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელს.

ამასთან, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგნაირია:

ა) ტურისტი – 230 696 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 37,6%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 12,6%);

ბ) ტრანზიტი – 100 921 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 16,4%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 38%);

გ) სხვა – 281 925 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 46%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან -4%).

შსს-ს ინფორმაციით, 2014 წლის თებერვალშიც ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (-24,7%), აზერბაიჯანიდან (+20,6%), სომხეთიდან (+16%), რუსეთიდან (+31%), უკრაინიდან (+48,4%) და ირანიდან (-36%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან (ჯამური +17%), საიდანაც საქართველოში ჩამოსვლის რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-თებერვალშიც გამოირჩეოდნენ პოლონეთი, ლიტვა, იტალია და ლატვია (შესაბამისად 145%, 24%, 22%, და 16%), შუა აზიის ქვეყნებიდან – ყაზახეთი (20%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან კი – ბელორუსიის მოქალაქეები 51%-იანი მატებით.

მედიანიუსი

# დემურ გიორხელიძე: საქართველო აბსოლუტურად დაუცველი ქვეყანაა“

შორენა კოწოწაშვილი




**რა გავლენას იქონიებს უკრაინის კრიზისი საქართველოზე, არის თუ არა საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია მზად გლობალური ან თუნდაც რეგიონული კრიზისებისთვის და რა საფრთხეებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება საქართველოს ხელისუფლებამ? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს დამოუკიდებელ ანალიტიკოს დემურ გიორხელიძესთან.**

***— ბატონო დემურ, მოდით პოლიტიკურ-ეკონომიკურ ჭრილში განვიხილოთ უკრაინაში მიმდინარე პროცესი. რა გავლენას იქონიებს ეს საქართველოზე და არის კი ხელისუფლებისთვის უკრაინის ფაქტორი საშიში?***

— მოდით, პირდაპირ ვთქვათ: უკრაინის კრიზისი მსოფლიო დონის კრიზისია, ურთულესი კრიზისია და იგი რამდენიმე სერიოზულ პრობლემაზე მიუთითებს. პირველი ის, რომ მსოფლიოს მთავარ მოთამაშეებს შორის თამაშის წესები დადგენილი არ არის. ის წესები, რომლებიც ადრე არსებობდა, უკვე აღარ მუშაობდა. ცივი ომის რეციდივები, დაპირისპირება, თამაში ნულოვანი ჯამით ანუ მე იმას ვიგებ, რასაც შენ აგებ და კომფრონტაცია, როგორც აღმოჩნდა, როდესაც ინტერესები მაქსიმალურად დაუბალანსებელია, დიდ ომამდე მიდის. ჩვენ უკრაინის მაგალითზე დავდექით იმის წინაშე, რომ რუსეთი უბრალოდ უკან არ დაიხევდა და მზად იყო დიდი კონფლიქტისათვის. არაფერი შეუგნებლად არ გააკეთეს. მათ ასე ესმით საკუთარი სახელმწიფოს უსაფრთხოება. როდესაც მათი წარმოდგენებით, ამას საფრთხე ექმნება, ისინი ხელს იარაღს კიდებენ. შეფასებები, რომელიც დასავლეთში კეთდება ამ მოვლენისადმი და შეფასებები, რომელსაც საქართველოში აკეთებენ, დიამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. საქართველოში სრული სიბნელეა ამ მიმართულებით, განსაკუთრებით ცნობილი ტელევიზიები, რომლებსაც დაფარული აქვთ მთელი ქართული ტელესივრცე, უკიდურესად რეაქციული მემარჯვენე ამერიკული ჯგუფის პოზიციებიდან აშუქებს მოვლენებს. ამ დროს ამერიკაში გაცილებით სხვა ტენდენციებია. მათ შორის, ცნობილი ადამიანების მიერ, პოლიტიკური ჯგუფების მიერ, ევროპაში შეფასებები აბსოლუტურად განსხვავებულია. ყველა ხვდება, რომ ეს არის საშიში სიტუაცია. ამდენად, საჭიროა ახალი თამაშის წესების ჩამოყალიბება. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს მალე მოხდება. ასე რომ, ჩვენ მივედით იმ საშიშ ზონამდე, როცა უკვე ყველაფერი დასაშვებია, მათ შორის ბირთვული დაპირისპირებაც. თუ მსოფლიოს მთავარი მოთამაშეები არ შეთანხმდებიან თამაშის წესებზე, კონფლიქტი იმდენად დიდია და ინტერესები იმდენად დაუბალანსებელი, რომ ერთი მხარის დათმობა, პოლიტიკური რუკიდან მის ავტომატურ გაქრობას გამოიწვევს. ასეთი რამ კი, როგორც წესი, არ ხდება. „ამერიკენ კონსერვატივში“ ძალიან ცნობილი ამერიკელი პატრიკ ბლუქენენი წერდა, რომ ამ ფონზე იგი საკუთარი ომის პარტიის შევარდნებს აკრიტიკებდა და მოითხოვდა, რომ ისინი დაბლოკილნი უნდა იყვნენ აშშ-ში. ანუ ეს ის ადამიანებია, რომლებიც ძალიან უყვართ საქართველოში, ჩვენს ყოფილ ხელიხუფლებას და მის ტელევიზიებს. იგი წერდა, რომ საომარი განცხადებები უკრაინისა და საქართველოს ნატოში მიღების შესახებ, ძალიან ჰგავს იმ დაპირებას, რომელიც კაიზერმა მისცა ავსტრიას 1914 წელს და 1939 წლის მარტში ბრიტანეთმა მისცა პოლონელ პოლკოვნიკებს. რით დამთავრდა ერთიც და მეორეც, კარგად იცით. ორივეს ამას მოყვა ორი მსოფლიო ომი და ბლუქენენი წერს, რომ ამ ომებმა სასიკვდილო დარტყმა მიაყენეს დასავლურ ცივილიზაციას. ამიტომ ეს სულელური, კონფრონტაციული განცხადებები, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება დიდი ომი და კონფრონტაციის ფონზე ასეთი გადაწყვეტილებები ვერ იქნება მიღებული, ეს მხოლოდ საქართველოში არ ესმით, მიუთითებს იმაზე, რომ ქართული სახელმწიფო და პოლიტიკური აზროვნება ძალიან სერიოზულ ჩიხშია შესული და არაადექვატურია მიმდინარე პროცესებია.

***— თქვენ სრული სიბნელე უწოდეთ იმას, რა განცხადებებიც საქართველოში კეთდება უკრაინასთან მიმართებაში. ვერ ერკვევა ქართული პოლიტიკური ელიტა რა საფრთხის წინაშე დგას ქვეყანა? შეიძლება მესამე მსოფლიო ომის წინაშე აღმოვჩნდეთ?***

— გლობალური პოლიტიკური კრიზისის შემთხვევაში საქართველო აბსოლუტურად დაუცველი ქვეყანაა არა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით, არამედ იგი დაუცველია მატერიალურადაც. ჩვენ ორი კვირის მარაგებიც კი არ გაგვაჩნია პროდუქტებისა. ეს თემა ქვეყანაში საერთოდ არ დგას. ჩვენს დემაგოგიურ პოლიტიკაზე აგებული ურთიერთობები გვქონდა, კონფრონტაციაზე აგებული საგარეო პოლიტიკა იყო. დისბალანსებზე მუშაობდა ქართული საგარეო პოლიტიკა. ამან ქვეყანას კისერი მოტეხა და საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ამიტომ ის, რომ ვიღაც პიროვნების დონეზე დაჰყავთ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მიმდინარე პროცესები და ვიღაცა ვიღაცას დასჯის და ვიღაც ვიღაცას იზოლაციას გაუკეთებს, ეს იმდენად სასაცილოა, იმდენად უბადრუკი აზრებია, რომელსაც არაფერი კავშირი აქვს რეალობასთან იმიტომ, რომ ასე არ ფიქრობენ დასავლეთ ევროპაში, ასე არ ფიქრობენ აშშ-ში. ის, რომ ომი შესაძლებელია, ეს უკრაინის კრიზისმა აჩვენა და უკან დამხევი რომ არავინ არ არის, ესეც ნათელია. რას მოიტანს ეს ომი, თქვენ წარმოიდგინეთ, პირველი მსოფლიო ომის დროს დასავლეთის ინტელექტუალური წრეებიც მოწადინებული იყვნენ ამ ომისა და მათ მიიღეს ომი, რომელმაც უდიდესი დარტყმა მიაყენა მთლიანად ევრაზიის კონტინენტს, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპას. იმიტომ, რომ შეიცვალა ის სამყარო, რომელშიც აქამდე ფუნქციონირებდა ევროპა. მესამე მსოფლიო ომი, რა თქმა უნდა, კატასტროფული იქნება თავისი შედეგებით. ალბათ დიდი ქვეყნები კარგად გადარჩებიან. ჩვენნაირ ქვეყნებს კი გადარჩენის შანსი არ აქვს. ამიტომ საუბარი იმაზე, რომ ჩვენ შეიძლება გლობალური კრიზისის დროს ვიყოთ დაცული ნატოთი და ა.შ. არის აბსოლუტურად არასერიოზული იმიტომ, რომ გლობალური კრიზისის დროს ნატო არანაირად დაცვას არ წარმოადგენს. ჩვენ გვაქვს პრობლემა, რომელიც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორისა და მეგობარი ქვეყნების დახმარებით უნდა მოვაგვაროთ. ეს არის რუსეთთან ურთიერთობა.

***— საპარლამენტო უმცირესობა ხელისუფლებისგან რუსეთის მიმართ მკვეთრ და მკაცრ ტონს ითხოვს. იმ განცხადებებმა, რომელიც საქართველოში კეთდება, შეიძლება პროცესი დააჩქაროს და რუსეთმა უკრაინის შემდგომ საქართველოსთვის მოიცალოს და აქ დაძაბოს ვითარება შეიარაღებამდე?***

— ის განცხადებები, რაც მე მესმის, პოლიტიკის რანგს არ განეკუთვნება. ეს განეკუთნება საკმაოდ ოდიოზური პიროვნებების საქციელს, რომლებსაც აქვთ რაღაც შეხედულება, რომელიც არ ექვემდებარება რეალობასთან კავშირს; არ ექვემდებარება სახელმწიფო ინტერესებს და არის გარკვეული პოლიტიკური ჯგუფის – დასავლეთში საკმაოდ გავლენიანი, მაგრამ ხელისუფლებაში არმყოფი ჯგუფის რიტორიკის და მსოფლმხედველობის გაგრძელება ქართულ რეალობაში. ეს არის ყველაზე ცუდი, რაც ამ პარტიას სჭირს. მათი განცხადებები – ვიღაც უნდა დავსაჯოთ, ვიღაც უნდა იზოლაციაში მოვაქციოთ, იმდენად სულელურია, რომ ეს ტექნიკურადაც ვერ მოხერხდება. ასე არ ხდება მსოფლიო პოლიტიკაში იმიტომ, რომ ყველაფერი ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული. ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც საქართველოში უყურადღებოდ არის დატოვებული. მიუხედავად რიტორიკისა ამერიკა-რუსეთის ურთიერთობა სპეცსამსახურების დონეზე სრულყოფილად გრძელდება, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოებას უკავშირდება. თქვენ წარმოიდგინეთ, იულიანოვსკის, ნატოს ბაზა ინტენსიურად მუშაობს და მთელი შეიარაღებული ძალის მოძრაობა ავღანეთში ულიანპოვსკის ბაზიდან ხდება. რიგაში დატვირთული ეშელონები მთელი რუსეთის გავლით კვლავ მიემართებიან ავღანეთისაკენ. ამიტომ ორი სახელმწიფო აგრძელებს სასიცოცხლო მნიშვნელობის ურთიერთკავშირს. სხვა დანარჩენი ეს არის ერთმანეთზე ზეწოლა. ის, რომ ამერიკის პრეზიდენტი არ ჩავა დიდი რვიანის სამიტზე სოჭში, რაზეც მან უკვე განაცხადა, სწორედ ამის გამოძახილია და ეს ყველაფერი, იმ ურთიერთობების დაუბალანსებლობის შედეგია. საპრეტენზიო დღეს შეიძლება იყოს საჭირო მომენტი გაუშვეს მსოფლიოს მთავარმა მოთამაშეებმა. გააგრძელეს ძველ პარადიგმაში ურთიერთობა და საშიშ ზღვარზე მივიდნენ, რომლის იქეთაც უკვე სრული კატასტროფა იწყება ყველასათვის. ამიტომ ვფიქრობ, ქართული საპარლამენტო ოპოზიციის განცხადებები არის ახირებული ადამიანების პოზიციები, რომლებსაც რეალურ პოლიტიკასთან არავითარი კავშირი არ აქვთ. ერთ რამესაც გეტყვით: ძალიან მიამიტი უნდა იყოს ადამიანი, რუსეთის პოლიტიკა რომ პუტინს დაუკავშიროს. ვინც არ უნდ აიყოს რუსეთის პრეზიდენტი, რუსეთის პოლიტიკა არ შეიცვლება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ სახელმწიფოს აქვს საკუთარი წარმოდგენები; იმის იმედად ყოფნა, რომ ჩამოიშლება რუსეთი და მას რამდენიმე სახელმწიფოდ დაშლის ვიღაცა, ეს არის სასაცილო სფერო, რადგან რუსეთი შეიძლება დაიშალოს დიდ ომში დამარცხების შემდეგ და ამ დიდ ომს ვინ როგორ გადაურჩება, ეს ჯერ კიდევ საკითხავია. ვფიქრობ, ამაზე ფიქრიც არ ღირს, რადგან ეს ჩვენთვის სრული კატასტროფაა. ჩვენ გვავიწყდება, რა გარემოში ვცხოვრობთ. როგორია მუსულმანური სამყაროს მობილიზება და ჩვენ თუ ვფიქრობთ, რომ ამ გარემოცვაში ნატო დაგვიცავს ან ჩვენ ასეთი არასერიოზული პოზიცია დაგვიცავს, მაშინ ჩვენ უბრალოდ არასწორად ვფიქრობთ. არასწორად რომ ვფიქრობთ, იმიტომაც გვაქვს ძალიან მძიმე შედეგები.

***— დასავლეთი უკრაინას აქტივების გაყინვით და ეკონომიკური სანქციებით ემუქრება. ეს რუსეთს უკან დაახევინებს? მაინტერესებს, რა გავლენას ჰპოვებს ეს ქართულ ეკონომიკაზე, რადგანაც აქ რუსეთის ბიზნეს-ინტერესებიც არის და უკრაინულიც.***

— სიკვდილის პირას მისულ ქართულ ეკონომიკას, ვერანაირი კრიზისი ვერაფერს დააკლებს, რადგან რისი დაკლებაც შეიძლებოდა, ყველაფერი დაკლებულია. ჩვენ გვაქვს განადგურების პირას მისული მიზერული ეკონომიკა, რომელიც ჩამოკიდებულია იმპორტზე და ამდენად, რაიმე სერიოზულ გავლენაზე საუბარი არ შეიძლება. რა თქმა უნდა, უკრაინაში პრობლემები, უკრაინა-საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობას არ უქადის კარგ პერსპექტივას. ცოტა უფრო ცუდად ვიქნებით. ჩვენ კი ცუდად ყოფნას მიჩვეული ვართ. ამ მხრივ დიდი საშიშროებები არ გვემუქრება. დასაკარგი არაფერი გვაქვს. 17 მლრდ-იანი ეკონომიკის ნაცვლად, გვექნება 15 მლრდ, რომელიც აბსოლუტურად არანაირ დიდად შესამჩნევი საქართველოს მოქალაქეზე არ იქნება. ისედაც ტოტალური უმუშევრობაა და არანორმალური სიღარიბეა. ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ქვეყანა ვართ. უფრო უარესი გვჭირს: ბავშვები ორი მესამედის განათლების დონე არ შეესაბამება სტანდარტებს. ეს უბრალოდ განწირული თაობაა. ეს რას ნიშნავს, იოლი წარმოსადგენია. რაც შეეხება სანქციებს, ვერანაირი რეალური სანქციები ევრ გატარდება. ამას ევროპაში შესანიშნავად ხვდებია იმიტომ, რომ რუსეთს ეკონომიკა ევროპაში საკამოდ დიდად არის ინტეგრირებული. მის მიმართ სანქციები გამოიწვევს, ფაქტობრივად, მთელი ევრაზიის კონტინენტის ეკონომიკების მოშლას. დააკვირდით მსოფლიოს წამყვან ბირჟებზე უკრაინის კრიზისი როგორ აისახა. თუ მოსკოვის საფონდო ბირჟებზე 13%-მდე დავარდა აქციების ფასი, მსოფლიოს მთავარ ბირჯებზე, ფრანქფურტში, ლონდონში, ნიუიორკში ფაქტობრივად, 3%-იანი ვარდნაა. ეს უზარმაზარი გავლენაა. გუშინ შეიცვალა სიტუაცია რუსეთის პრეზიდენტის პრესკონფერენციის შემდეგ. ასე რომ, თქვენ წარმოიდგინეთ, სერიოზული ანალიტიკოსები დასავლეთში იმასაც კარგად ხვდებიან, რომ ეს ეკონომიკური პროცესები დასავლეთში ისევ და ისევ უფრო სასარგებლოა რუსეთისათვის, ვიდრე საზიანო. ასე რომ, რუსეთი ისტორიულად მიჩვეულია გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფნას. ამ ქვეყანას გააჩნია ერთი თავისებურება – რაც უფრო უჭირს, მით უფრო მობილიზებული ხდება და ჩვენ ეს უნდა გვესმოდეს.

# მამუკა კაციტაძე: გიგი უგულავამ თბილისის საკრებულო ყველაზე უფუნქციო ორგანოდ აქცია“

## შედგება თუ არა დიდი ოპოზიციური ერთობა

თამარ ნინიძე



### ინტერვიუ ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთ ლიდერ მამუკა კაციტაძესთან

***— ადგილობრივი არჩევნების წინ არასაპარლამენტო პარტიების გაერთიანება აქტუალური გახდა. „ახალი მემარჯვენეები“ რას ფიქრობთ ამაზე?***

— 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა გვაჩვენა, რომ ორპოლუსიანობა, რომელიც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ დამკვიდრდა საქართველოში, ერთი მხრივ, კოალიცია „ქართული ოცნების“ და მეორე მხრივ, ნაციონალური მოძრაობა, მილევადია ანუ დნობას იწყებს. მე ამას ჰაერზე არ ვლაპარაკობ და შემიძლია რიცხვებში გითხრათ. სამ კონკრეტულ მაჩვენებელს დაგისახელებთ: საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს შორის არჩევნებში მონაწილეთა აქტივობა შემცირდა 650 ათასით; მეორე, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე და ნაცმოძრაობის მხარდამჭერ ელექტორატში შემცირება მოხდა 500 ათასით, ხოლო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეთა შორის, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ მხარს უჭერდნენ, შემცირება მოხდა 250 ათასით. ცესკოს მონაცემებზე დაყრდნობით მოგახსენებთ ამ ციფრებს. ყოველივე ეს გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ რეალურად ორპოლუსიანმა ცუნამმა საქართველოს ჩაუარა, ამომრჩევლებში პერმანენტულად თავისუფლდება ნიშა, რომელსაც ყურადღების მიქცევა სჭირდება და რომელსაც აქვს შანსი, იქცეს სხვა პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერებად. „ახალმა მემარჯვენეებმა“ ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ვთქვით, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ისევე ვერ იქნებოდა კონკურენტული, როგორც საპარლამენტო ვერ იყო და ეს იქნებოდა ისევ ორპოლუსიანი პოლიტიკის გაგრძელება. იქვე დავძინეთ, რომ 2014 წლის ადგილობრივი არჩევნები იქნება უაღრესად მნიშვნელოვანი, პრინციპული, უფრო მეტად კონკურენტული და ამიტომ მთელ ფსონს ვდებდით ამ არჩევნებზე. მიგვაჩნია, რომ არასაპარლამენტო პარტიებმა უნდა მოახერხონ და შექმნან ძლიერი გაერთიანება, იმ პარტიებმა, რომლებსაც გარკვეული ელექტორალური საყრდენი გააჩნიათ, რომლებსაც სერიოზული ისტორია და ბეგრაუნდი გააჩნიათ, ასევე ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა აქვთ, ასევე ფასეული გამოცდილება, უნდა მოახერხონ მრავალმხრივი კომპრომისების საფუძველზე შექმნან „ქართული ოცნების“ და ნაცმოძრაობის გარეთ მყოფი ელექტორატის მიმზიდველი კრიტიკული მასის მპყრობი და მფლობი გაერთიანება. ეს არის ამოცანა, თუ გვინდა, რომ არ დაიქსაქსოს ძალები, ეს არჩევნები ისევ ორთა შორის ჭიდილში არ ჩაიკეტოს, შეიქმნას მესამე ანგარიშგასაწევი ძალა რომელიც შეცვლის პოლიტიკურ კონფიგურაციას მთელ რიგ ადგილებში. ადგილობრივი არჩევნები არ არის ერთი დიდი ყულაბა, სხვადასხვა ოლქებში ცალ-ცალკე ტარდება არჩევნები და წარმატებასაც შეიძლება მივაღწიოთ კონკრეტულ ოლქებსა და ტერიტორიებში. რაც მთავარია, შეიქმნა უაღრესად სახარბიელო პოლიტიკური ფონი შემდგომი პოლიტიკური ცხოვრებისათვის, რასაც მრავალპარტიულობის ხელშეწყობა ჰქვია. ხელოვნური ორპარტიულობა ქვეყნის პოზიტიურ განვითარებას ვერ მოიტანს, საქართველო არ არის იმ ტიპის პოლიტიკურად განვითარებული ქვეყანა, სადაც პროცესი ბუნებრივად მივიდა ორპარტიულობამდე. ევროპაშიც კი ხუთი, ექვსი განვითარებული პარტიაა, წონადი და ანგარიშგასაწევი. განცხადების საფუძველზე, რომ შუა უნდა გაიკრიფოს, დამთავრდეს აქ მრავალპარტიულობა და დაიწყოს ხელოვნური ორპარტიულობა, ეს გამორიცხულია. ამიტომ უნდა შევძლოთ, რომ იმპულსი, ბიძგი მივცეთ პოლიტიკურ პროცესს იმისთვის, რომ ქვეყანაში კვლავ აღდგეს მრავალპარტიული სისტემა, რაც ხელს შეუწყობს პლურალიზმს და დემოკრატიულობას.

***— „თავისუფალი საქართველო“ და „ქართული დასი“ გამოდის დიდი ხანია ამ ინიციატივით, რომ შეიქმნას დიდი გაერთიანება, თავად „ახალი მემარჯვენეების“ განწყობა როგორია, ამ ინიციატივას ემხრობით?***

— პირველი რიგის ამოცანა გახლავთ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება არჩევნებთან დაკავშირებით, ეს იმას ნიშნავს, ვიცოდეთ, თუ რა წესებით შევდივართ ამ არჩევნებში. გახსოვთ რამდენი დებატები იყო 50%-იან ბარიერზე, მრავალმანდატიან ოლქებზე, ხელისუფლებამ კიდევ შემოიღო აკრძალვები, მერების და გამგებლების კანდიდატებს პარტიულ სიაში ყოფნა არ შეუძლიათ და საინიციატივო ჯგუფებს კანდიდატების დასახელება არ შეუძლიათ. წინასაარჩევნო რეჟიმს ეს ცვლის. პარლამენტში უნდა დასრულდეს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და წერტილდასმულად დავინახოთ, რომ არჩევნები ჩატარდება ამ წესით და რიგით. მეორე რიგის ამოცანაა, შედეგის დადება იმ მოლაპარაკებებზე, რომელიც მიმდინარეობს. „ახალი მემარჯვენეები“ ჩართული ვართ ამ მოლაპარაკებებში, ორმხრივი მოლაპარაკებები გვაქვს რამდენიმე პარტიასთან, მაგრამ როგორც კი დამთავრდება საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, ჩვენ ველოდებით, რომ ის პარტიები, რომლებსაც ორმხრივად ვესაუბრებით, დავსხდებით უკვე ერთი მაგიდის გარშემო და ახლა მიდის მოსამზადებელი სამუშაო ერთ მაგიდასთან დასაჯდომად. ასევე, თუ ეს მოხდა და კონკრეტული ინტერესები დარეგულირდა, მერე უკვე გავარკვევთ და შევათანხმებთ, ვინ უნდა იყოს ბლოკის ლიდერი, ვინ უნდა იყოს თბილისის მერობის კანდიდატი, როგორი უნდა იყოს თბილისის პარტიული სია და როგორი უნდა იყვნენ თბილისის მაჟორიტარები ამ ბლოკიდან. ასევე სხვა რეგიონებსა და ქალაქებში. დიდი შრომა გველოდება, კარგია, რომ ვიცით არჩევნების თარიღი, 15 ივნისს არის დანიშნული, ეს ერთი პოზიტივი ნამდვილად ახლდა პრეზიდენტის პარლამენტში მისვლას, რომ გავიგეთ არჩევნების ჩატარების თარიღი. მარტის ბოლო რიცხვებში, სავარაუდოდ, ეს კონფიგურაცია უკვე ჩამოყალიბდება, ერთი თვე დასჭირდება საორგანიზაციო საკითხებს. მერე იქნება ორმოცდაათ-სამოცდღიანი წინასაარჩევნო კამპანია, საქართველოსთვის ეს აბსოლუტურად საკმარისია.

***— რამდენად მნიშვნელოვანია დიდი გაერთიანებისთვის ერთიანი მსოფლმხედველობრივი ხედვები იგივე საგარეო და საშინაო პოლიტიკაში?***

— ჩვენ, „ახალი მემარჯვენეები“, ყოველთვის ვიყავით მსოფლმხედველობრივი ფუნდამენტის არსებობის მომხრე. აცდენილი პოლიტიკური პარტიები თავისი ინტერესებით და ფასეულობებით, იდეოლოგიით, როცა ქმნიდნენ გაერთიანებას, ზომიერად ვაკრიტიკებდით ამ პროცესს. ეს ეკლექტური გაერთიანებები განწირული იყო დაშლისთვის. გვაქვს სხვა სახის გამოცდილებაც, გვქონია ისეთი ბლოკები, სადაც სრული თანხვედრა იყო იდეოლოგიური და მსოფლმხედველობრივი, მაგალითად, „ალიანსი საქართველოსთვის“, სადაც ვიყავით თავისუფალი დემოკრატები, ჩვენ და „საქართველოს გზა“, მე არ მახსოვს ამაზე უფრო თანხვედრილი იდეოლოგიური ერთობა, მაგრამ მის ბედზე ნუღარ მალაპარაკებთ, არჩევნების დამთავრებიდან ერთი თვის შემდეგ რა და როგორ მოხდა. მსოფლმხედველობრივი ერთიანობა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ბლოკი აღმოჩნდეს სიცოცხლისუნარიანი. აქ მნიშვნელოვანია, რა ტიპის არჩევნებთან გვაქვს საქმე. ადგილობრივი არჩევნები არ განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებას, მით უმეტეს, საგარეო პოლიტიკას. არ მინდა იმის თქმა, რომ ადგილობრივი არჩევნები პოლიტიკისგან განყენებულ მდგომარეობაშია, მაგრამ ხარისხით საპრეზიდენტო და განსაკუთრებით კი, საპარლამენტო არჩევნები საპარლამენტო მოდელის სახელმწიფოში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, საგარეო პოლიტიკური კურსის იდეოლოგიის თვალსაზრისით, ვიდრე ადგილობრივი არჩევნები. ამასაც ვითვალისწინებთ, როცა კონფიგურაციაზე ვსაუბრობთ. მთელი რიგი კომპონენტების გათვალისწინებით მოგვიწევს ყველაფრის გათვალისწინება. უნდა შევძლოთ მაქსიმალური კრიტიკული ძალის კონცენტრირება, კოალიციაში რომ აღმოჩნდე ამ ორ პოლუსთან ბრძოლისთვის მზად. ეს არის ელექტორალური საყრდენის, ძალის გავლენის მქონე პოლიტიკური ძალის პარტიების ერთობა, ამ გაერთიანებამ შექმნას სინერგია და ამ სინერგიულობამ კონკურენცია გასწიოს და წარმატებასაც მიაღწიოს ორპოლუსიანი პოლიტიკის რეალობაში.

***— კარგი ბაზისი და სტარტი გაქვთ იმ თვალსაზრისით, რომ სულ უფრო მეტად ძლიერდება უკმაყოფილება და კრიტიკული შეფასებები როგორც არსებული ხელისუფლების, ასევე ე.წ. საპარლამენტო ოპოზიციის მიმართ.***

— ეს გახლავთ ბუნებრივი მოცემულობა, ეს ჩვენგან დამოუკიდებლად შექმნილი რეალობაა, რომლის გამოყენებაზეც უნდა ვიფიქროთ. ამომრჩეველი კი არ უნდა დაიქსაქსოს, არამედ მყარი ერთობა უნდა შესთავაზო. ის რომ ელექტორატში იმედგაცრუება წარმოიშვა, ეს ფაქტია, ეს ყველა ხელისუფლების ხვედრია, მით უმეტეს ისეთის, რომელიც დიდი ფურორით მოვიდა, დაპირებებს რომ თავი დავანებოთ, დიდი მოლოდინებით მოვიდა, ეს დაპირებები არ გამართლდა, მოლოდინები ჩაიფუშა და პესიმიზმშია გადავარდნილი საზოგადოება. რაც შეეხება მთავარ ოპოზიციას, როგორც თავის თავს ეძახიან ნაცმოძრაობის წევრები, ცხრა წლის განმავლობაში იმდენი გააფუჭეს, ორ წელიწადში ამის დავიწყება გამორიცხულია. ის პასაჟი, რომ კარგ მდგომარეობაში არიან არასაპარლამენტო პარტიები, ეს არის ობიექტურობა, ამომრჩეველს არ დავიწყებია ძველი, ის რაც სააკაშვილმა მოიტანა, დადებითიც და უარყოფითიც ახსოვთ, ასევე ახსოვთ, რით შეიცვალა ეს დაპირებები და მოლოდინები. ეს იძლევა შანსს და არა გარანტიას იმისას, რომ არასაპარლამენტო პარტიების მძლავრმა გაერთიანებამ სერიოზული შედეგი დადოს ადგილობრივ არჩევნებში. ზედმეტად და ხელოვნურად არ ვჩქარობთ, მაქსიმალური პროდუქტის გამოქანდაკებას ვცდილობთ ამ შესაძლებლობიდან.

***— ახლა არ მინდა კონკრეტულად გკითხოთ რომელიმე კანდიდატურაზე, მაგრამ ზოგადად მინდა შეაფასოთ თბილისის მერობის კანდიდატურა, როგორი უნდა იყოს ის, არის საუბარი, რომ უნდა იყოს მეურნე და არა აქვს მნიშვნელობა, იქნება თბილისელი თუ არა, მეორე ნაწილი აცხადებს, რომ დიახ, თბილისელობა აუცილებელი თვისებაა.***

— თქვენ ახლა ირიბად მთხოვთ დავახასიათო უკვე გახმაურებული კანდიდატურა, დავით ნარმანია, ეს არის ირიბად ინფორმაციის გამოძალვა, მაგრამ მე ვიტყვი ჩემს აზრს დედაქალაქის მერთან დაკავშირებით. ქალაქის, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის 33%-ს აერთიანებს, არჩეული მერი აუცილებლად პოლიტიკოსი უნდა იყოს. მას უნდა ახასიათებდეს კარგი მენეჯერული თვისებები, მან უნდა იცოდეს მენეჯმენტის საფუძველზე სწორი გაძღოლა პროცესებისა სხვადასხვა სფეროების მიხედვით. რაც შეეხება კონკრეტულ სფეროებს, ტრანსპორტს, მშენებლობას, ურბანიზაციას, არქიტექტურას, კეთილმოწყობას და განათლებას, ამას წაიყვანენ შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები. შერჩევის ნიჭი უნდა ჰქონდეს იმ მენეჯერს, რომელიც იქნება პოლიტიკური მიმართულებებით დაკვალიანებული. პოლიტიკურ პარტიას აქვს თავისი ხედვა ყველა ამ მიმართულებით. პოლიტიკას მოწყვეტილი მერი არ უნდა იყოს. წარმოუდგენელია ადამიანმა იცოდეს ჯანდაცვა და არქიტექტურაც.

***— ასეთი მიხეილ მაჭავარიანი იყო ნაცმოძრაობაში.***

— სააკაშვილიც, დიმიტრი გელოვანი მე ფილმიდან ვიცი. ამიტომ ჩვენი კრიტერიუმები დედაქალაქის მერთან დაკავშირებით ასეთია, რაც შეეხება იმას, სადაური უნდა იყოს, ეს ჩემთვის ღიმილისმომგვრელი თემაა. ადამიანის სადაურობა არ განისაზღვრება იმით, თუ რომელ სამშობიაროში დაიბადა ის. სადაურობა დაბადების ადგილს არ ნიშნავს ჩემთვის, არამედ იმით, თუ რამდენად ფლობს პიროვნება იმ არეალის პრობლემატიკას. რამდენად საუბრობს ის პიროვნება იმ ადამიანების ენაზე, ლინგვისტურ ენას არ ვგულისხმობ. მენტალურ ენას ვგულისხმობ. რამდენად იცის წარსული და აწმყო იმ კონკრეტული არეალის და რამდენად არის არა უცხო სხეული ამ წარმონაქმნისთვის. ებრაული სიტყვაა გოიმი, რომელიც არაჩვენებურს ნიშნავს. არ მინდა თანამედროვე გაგებით ვიხმარო ეს სიტყვა, კლასიკური ებრაული გაგებით მინდა ვიხმარო. ეს ადამიანი არ უნდა იყოს ისეთი, რომელზეც იტყვიან, ეს ადამიანი არაჩვენებურიაო.

***— ვაკელი ვერ გაუგებს ნარმანიას და ნარმანია ვერ გაუგებს ვაკელს?***

— არა, არ დავაკონკრეტებ არც ადამიანს და არც კონკრეტულ უბანს. გიზო ნიშნიანიძეს აქვს ასეთი გამოთქმა, შეიძლება კაცი თბილისში ცხოვრობდეს და არ იყოს თბილისელი, შეიძლება სხვაგან იყოს და თბილისელი ერქვასო. ეს არ ნიშნავს ფიზიკურ ყოფნას და ფიზიკურ დაბადებას. მე ვიცი ბევრი თბილისში დაბადებული, რომელიც არ არის თბილისელი. თბილისი კონტრასტულია, არა მხოლოდ მენტალობაშია განსხვავება. პრობლემატიკაშიც არის განსხვავებული მომენტები. თბილისს აქვს სუბულტურული მომენტი, რომლის იგნორირებაც არ შეიძლება. ეს უნდა იცოდეს ადამიანმა და რა მნიშვნელობა აქვს, ის სად დაიბადა.

***— გიგი უგულავაზე მინდა გკითხოთ, თქვენი აზრით, რატომ აღარ აპირებს ის მერობისთვის ბრძოლას?***

— ქალაქში, რომელშიც მან თავის დროზე ფორმალურად მოიგო, ქალაქში, რომელშიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა არა როგორც არჩეული მერი, არამედ როგორც იმპერატორი, ამას გეუბნებით როგორც საკრებულოს წევრი, თბილისის საკრებულო ყველაზე უფუნქციო წარმომადგენლობითი ორგანოა საქართველოში, თბილისის საკრებულო უფრო სტატისტია, ასეთი კანონი დაიწერა უგულავას დროს, ახლა კი არ უნდა უგულავას, რომ ამ ქალაქში კრახი განიცადოს. კი არ წააგებს არჩევნებს, არამედ ის განიცდის კრახს, ამიტომ მას უნდა, რომ გაბერილი ბუშტი დატოვოს დედაქალაქში, მისი მერობისა, ეს მითი დატოვოს და, როდესაც შეიძლება, ამ მითის გაღვიძების სურვილი გაუჩნდეს. დღეს მას გარდაუვალი კრახი ელოდება არა იმიტომ, რომ უფლებაშეჩერებული მერია და ბრალი აქვს წაყენებული, არამედ იმიტომ, რომ ელექტორალურად ნოლი აქვს შანსი გამარჯვების, ამიტომ მისი გადაწყვეტილება სწორია, ოღონდ განპირობებულია იძულებით და არა სიამოვნებით.

## მთავარმა პროკურატურამ გიორგი ონიანს კიდევ ერთი ბრალი წარუდგინა

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, სამსახურებრივი სიყალბისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ მტკიცებულებების ფალსიფიკაციის, ასევე პოლიტიკური დევნისა და განზრახ უკანონო დაკავების ფაქტზე, თბილისის შს მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს უფროსის ყოფილ მოადგილეს გიორგი ონიანს კიდევ ერთი ბრალი წარუდგინა.

პროკურატურის ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2011 წლის 17 ოქტომბერს, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო, გიორგი ონიანის მიერ კიდევ ერთი პირის დევნა განხორციელდა და ყოველგვარი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, უკანონოდ იქნა დაკავებული კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ლევან მდინარაძე (საზოგადოებისთვის ცნობილი ზედმეტსახელით დიჯეი რემბო). ონიანის ბრძანებით დაკავებული გადაყვანილი იქნა გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში ისე, რომ მას ჩხრეკა არ ჩატარებია.

ლევან მდინარაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის ხელოვნურად შექმნისა და მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის მიზნით, გიორგი ონიანმა საქმის გამომძიებელს წარუდგინა ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა და დაავალა, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში აესახა ამ ნარკოტიკული საშუალების ლევან მდინარაძისაგან ამოღების ფაქტი, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია. ამასთან, საუბრისას გიორგი ონიანმა უკანონოდ დაკავებულ ლევან მდინარაძეს განუცხადა, რომ იგი ისჯებოდა „ქართული ოცნების“ ლოგოიანი მაისურების გავრცელების გამო. ლევან მდინარაძის მიმართ უკანონოდ განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 11 წლამდე ვადით.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისათვის გიორგი ონიანს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის პირველი ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 333-ე მუხლის პირველი ნაწილით და 3691-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას რვა წლამდე ვადით.

შეგახსენებთ, რომ გიორგი ონიანისთვის ეს უკვე მეორე ბრალდებაა. პირველ შემთხვევაში მან პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ ლოგოიანი მაისურების დამზადებისთვის, ზემოხსენებულ ფაქტამდე 2 დღით ადრე შპს „დაო-პრინტის“ მენეჯერი დავით შათირიშვილი იდენტური სცენარით უკანონოდ დააკავა. აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე დაკავებულ იქნა გიორგი ონიანი, რომელსაც 2014 წლის 26 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, აღკვეთის ღონისძიების სახით საპატიმრო გირაო 20 000 ლარის ოდენობით შეეფარდა. მთავარი პროკურატურის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში, სადაც პროკურატურა კვლავ მოითხოვს მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას. ამ ეტაპზე გამოძიება გრძელდება.

**მედიანიუსი**

# გივი თარგამაძეს და ირმა ნადირაშვილს სასამართლოში უჩივიან

შორენა მარსაგიშვილი



**რამდენიმე კვირის წინ ნაცმოძის გამორჩეულმა სახეებმა გივი თარგამაძემ და ირმა ნადირაშვილმა საავტომობილო გზების დეპარტამენტზე მიიტანეს იერიში. მათი მტკიცებით, იქ ელიტურ კორუფციას ჰქონდა ადგილი და თანამდებობებზე თამაზ თამაზაშვილის კადრებს ნიშნავდნენ.**

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ნაციონალების ბრალდებები მაშინვე უარყო. გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ ქადაგიშვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაციონალური მოძრაობის წევრების, დეპუტატების გივი თარგამაძისა და ირმა ნადირაშვილის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა.

იოსებ ქადაგიშვილის ადვოკატის მერაბ ჭიკაიძის განცხადებით, მოსარჩელე ქადაგიშვილი, მოპასუხე გივი თარგამაძისა და ირმა ნადირაშვილისაგან, სასამართლოს გზით მათ მიერ გავრცელებული ყალბი და არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი ინფორმაციის საჯარო წესით უარყოფას მოითხოვს. ქადაგიშვილი, ასევე, მორალური ზიანის კომპენსაციის მიზნით, სიმბოლურად, თითოეული მათგანისაგან 1 ლარის გადახდას ითხოვს.

– დარწმუნებული ვართ, რომ სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს, რაც გივი თარგამაძესა და ირმა ნადირაშვილს იმავე საშუალებებითა და მეთოდებით (ბრიფინგის მოწყობა და მედიაში გაშუქება) დაავალდებულებს, ცილისმწამებლური განცხადებები უარყონ იმის შესახებ, რომ თითქოს იოსებ ქადაგიშვილი დანაშაულებრივი კლანის წევრია და ის თანამდებობრივი უფლებამოსილების გამოყენებით, უპირატესობას კონკრეტულ კერძო კომპანიას უკანონოდ ანიჭებდა, – განაცხადა ადვოკატმა.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, იოსებ ქადაგიშვილის მიმართ შეურაცხმყოფელი ბრალდებების შესახებ 5 თებერვალს საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა – ირმა ნადირაშვილმა და გივი თარგამაძემ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ნეპოტიზმისა და უფლებამოსილებების გადამეტების თემაზე გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს. იმავე დღეს გაირკვა, რომ „ნაციონალური მოძრაობის" წევრი პარლამენტარების მიერ გავრცელებული ინფორმაცია იოსებ ქადაგიშვილისა და თამაზ თამაზაშვილის ნათესაური კავშირის შესახებ არასწორი იყო. კომპანია „სერპანტინის" დირექტორმა კი (რომლის მფარველობაშიც იოსებ ქადაგიშვილს ადანაშაულებდნენ) განაცხადა, რომ დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან არანაირი განსაკუთრებული მხარდაჭერა არ აქვს და წინა ხელისუფლების დროს გაცილებით მეტი ტენდერი აქვს მოგებული და ნაციონალურ მოძრაობას არჩევნების დროს ფინანსურ დახმარებასაც უწევდა.

# ნუკრი ქანთარია: ნაციონალებმა ენას კბილი დააჭირეთ!"

შორენა მარსაგიშვილი

ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში გუშინ უკრაინის თემაზე მორიგი დებატები გაიმართა. ასე აქტიურად უკრაინულ ამბებს მგონი კიევშიც კი არ განიხილავენ. ჩვენებურ დეპუტატებს კი გული არ უთმენთ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამწარებულები ნაციონალები არიან.

მათი დაჟინებული მოთხოვნით გუშინ უკრაინასთან დაკავშირებით მისაღებ რეზოლუციაზე გაიმართა მსჯელობა. ეს რიგით მესამე რეზოლუცია გახლავთ. ნაციონალურ მოძრაობას მაინც უკმაყოფილების გრძნობს აქვს. მათი მტკიცებით, მოქმედი ხელისუფლება რუსულ აგრესიას სათანადოდ არ გმობს.

მეოცნებეებს კი ნაციონალების უკრაინული ვნებები ეჩვენებათ საეჭვოდ. განსაკუთრებულ ყურადღებას მიხეილ სააკაშვილის აქტიურობაზე ამახვილებენ. ნაპრეზიდენტალი უკრაინას ხშირად სტუმრობს და იქაურ ხელისუფლებას რჩევებსაც აძლევს. სააკაშვილის და მისი თანამოაზრეების უკრაინაში სირბილმა ვიცე-სპიკერ ზურაბ აბაშიძეს მამაპაპური ანდაზები გაახსენა.

– არის ასეთი ანდაზა „ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო", ასე იქცევით დღეს ნაციონალები უკრაინასთან მიმართებაში. ერთ მხარეს არის მთელი ცივილიზებული სამყარო: ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი და საქართველო მათთან ერთად. ამას გამეორება, დამტკიცება არ სჭირდება, რადგან ნათელი და ცხადია. მეორე მხარეს არის რუსეთის ფედერაცია. არ ვიცი სახელმწიფო, რომელიც სოლიდარულია რუსეთისა და პუტინის მიმართ. ესეც აბსოლუტურად ნათელია და დამტკიცება არც ამას სჭირდება. თქვენ კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ იმ დღის წესრიგით, რომელიც გინდათ შესთავაზოთ საქართველოს მთავრობასა და პრეზიდენტს, ჩვენ უკვე ვიცხოვრეთ ცხრა წლის განმავლობაში და ვნახეთ, სადამდეც მივიდა ქვეყანა და რა მძიმე დღეები გადაიტანა – დაწყებული აგვისტოდან, აგვისტომდე და მას შემდეგაც. ამიტომ დიდი მადლობა რჩევებისთვის, მაგრამ აღარ გვჭირდება. ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკას როგორღაც მივხედავთ და დიდი წარმატებები გვექნება, – მიმართა ნაციონალებს ზურაბ აბაშიძემ.

ვიცე-სპიკერის თქმითვე, საქართველოს ინტერესია, უკრაინაში განვითარებული მოვლენების დეესკალაცია მოხდეს, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოეწეროს ხელი და ქვეყანა ნატოში შევიდეს.

აჟიტირებული ნაციონალების ყურება ეტყობა ფრაქცია „ქართული ოცნების" ლიდერს გია ვოლსკისაც არ მოსწონს. მისი განცხადებით, ნაცმოძი უკრაინის თემით სპეკულირებს. სადღაც მართალია ვოლსკი. ნაცმოძი რუსეთის ქმედებებს ისე არ გმობს, ზედ მშობლიური ხელისუფლებაც თუ არ მიაყოლა.

– დღეს უკრაინაში რთული სიტუაციაა, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს გამოყენებული პოლიტიკური სპეკულაციისთვის, რისი ნიშნებიც არსებობს. ხდება უკრაინისგან იმ პლატფორმის შექმნა, საიდანაც შეიძლება პოლიტიკური დივიდენდების მიღება და შეტევის განხორციელება პოლიტიკურ ოპონენტზე და რატომღაც ჩვენ – ხელისუფლება ჩაგვთვალეს იმ ობიექტად, რომელიც შეიძლება აკრიტიკო ამ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც არც ვაშინგტონში, არც ბრიუსელში არანაირი შენიშვნა არა აქვთ იმასთან დაკავშირებით, რა პოზიციაც კი ოდესმე დაგვიკავებია საგარეო პოლიტიკის საკითხებში. გუშინდელმა ტელეშოუებმაც დაგვანახეს ეს, როდესაც ჩვენი გუნდის წევრი 10-20-30 ადამიანის გარემოცვაში მოხვდა და აბსოლუტურად დაუსაბუთებელი, არასწორი შეფასებებით იქნა მასზე შეტევა მიტანილი. პოლიტიკური შოუს ნიშნები კიდევ გამოჩნდა. კონსენსუსი რაც უფრო დიდი იქნება, მით უკეთესია, მაგრამ სპეკულაციის ფონზე ეს ძნელად მიიღწევა და კოლეგებს მოვუწოდებ, პრაგმატულ ხედვებს ემოციებს ნუ ანაცვალებენ, – აღნიშნა ვოლსკიმ.

კოლეგის განცხადება შეურაცხყოფად მიიღო გივი თარგამაძემ. მისი განცხადებით, უკრაინის სოლიდარობის მიზნით ქართული სახელმწიფოსგან მეტი ინიციატივა უნდა მოდიოდეს.

თარგამაძემ გუშინ პრეტენზიები დეპუტატ ლერი ხაბელოვის მიმართაც გამოხატა, რომელიც ამავე დროს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტია. თარგამაძე ხაბელოვს და სხვა ოლიმპიელებს რუსეთის დაგმობისკენ მოუწოდებს.

– ჩვენ არ მივიღებთ კრიტიკას იმასთან დაკავშირებით, რომ ვინმე სპეკულაციას ცდილობს უკრაინის თემით. რა თქმა უნდა, არა. არანაირ პლატფორმას ჩვენ ახლა არ ვქმნით, რადგან ეს პლატფორმა დიდი ხანია შექმნილი გვაქვს. ჩვენ კი არ ავირჩიეთ კრიტიკის ობიექტად ხელისუფლება, არამედ ხელისუფლებაა ყველა ბერკეტის მფლობელი და ჩვენ, როგორც ოპოზიციას, შეგვიძლია ჩვენი მოსაზრებები მივაწოდოთ და ხედვა წარმოვადგინოთ სახელმწიფოს მიერ გადასადგმელ ნაბიჯებთან დაკავშირებით. შეიძლება ვთქვათ, რომ უფრო მეტი ინიციატივა უნდა მოდიოდეს ქართული სახელმწიფოსგან. ჩვენ მივესალმებით იმას, რომ შედგა თურქეთის პრეზიდენტთან სატელეფონო საუბარი, მაგრამ მიგვაჩნია, რომ კარგი იქნებოდა ამ საუბარში დაფიქსირებულიყო საქართველოს მთავრობის ინიციატივა, რომ რეგიონის ქვეყნებს ერთიანი მიდგომა ჩამოეყალიბებინათ უკრაინის საკითხთან დაკავშირებით. საუბარია თურქეთზე, აზერბაიჯანზე, საქართველოსა და სომხეთისთვისაც შეიძლება შეგვეთავაზებინა ამაში მონაწილეობა. ეს კარგი ინიციატივა იქნებოდა და ის წაადგებოდა საქმეს. ასევე, კიდევ ერთი საკითხი უკავშირდება უკრაინის ოლიმპიური კომიტეტის მიმართვას, რომელშიც კომიტეტის პრეზიდენტი მოუწოდებს ოლიმპიელებს, გამოხატონ მათდამი სოლიდარობა. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელიც ჩვენი კოლეგაა, ვფიქრობთ, ეს უკვე უნდა გაეკეთებინა. ჩვენ მოვუწოდებთ ოლიმპიელებსაც, შეიკრიბონ და რაღაც ფორმით გამოხატონ სოლიდარობა. სოლიდარობის ჩუმად გამოხატვა ამ დროს არ არის სწორი და ის საჯარო უნდა იყოს, – განაცხადა გივი თარგამაძემ.



ხელისუფლების ქმედებებმა და უმოქმედობამ ნუგზარ წიკლაურიც აღაშფოთა. ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერი გუშინ პარლამენტის ტრიბუნიდან მოსთქვამდა იმის გამო, რომ მთავრობის არაკომპეტენტურობის, უნიათობისა და უმოქმედობის გამო საქართველო გაჩერდა.

– უკრაინასა და საქართველოს შორის, ცხადია, ბევრი პარალელის გავლება შეიძლება. მთავარი კითხვა ისაა, რამ მიიყვანა უკრაინა აქამდე? – უკრაინა აქამდე მიიყვანა რუსმა ოლიგარქმა იანუკოვიჩმა, რომლის მმართველობის გამოკვეთილი ნიშნები იყო, ერთი მხრივ, პოლიტიკური ოპონენტების დევნა და მეორე მხრივ, კორუფცია, უუნარობა და უნიათობა ეკონომიკური და სხვა საკითხების გადაწყვეტაში. სწორედ ეს არის სამწუხარო პარალელი საქართველოსთან და მე ძალიან ვწუხვარ, რომ კვლავ მიხდება განცხადების გაკეთება პოლიტიკური დევნის შესახებ. რამდენიმე დღის წინ ჩვენ ვიყავით გარდაბანში, სადაც „ქართული ოცნების" რამდენიმე წარმომადგენელი თავს დაესხა ჩვენი პოლიტიკური კონფერენციის მონაწილეებს. საგულისხმოა, რომ პოლიციიდან გამოსული ეს ადამიანები, პირდაპირ გაემართნენ ადგილობრივი თვითმმართველობის შენობისაკენ, სადაც შეხვედრა ჰქონდათ გამგებელთან და მის მოადგილესთან. არ მინდა, უსამართლო ვიყო და არ აღვნიშნო ის განცხადება, რომელიც „ქართულმა ოცნებამ" გააკეთა, მაგრამ ძალიან მინდა მჯეროდეს, რომ ეს მხოლოდ სიტყვები არ არის და საქმე მოჰყვება. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში „ნაციონალური მოძრაობის" მოქმედ თუ ყოფილ წარმომადგენლებზე პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს, – განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

მან ადვოკატ გოგა ონიანის დაპატიმრების ფაქტიც დაგმო. მისი მტკიცებით, ეს დაკავება პოლიტიკური ნიშნით მოხდა. ამის დასტურად წიკლაურმა ფოტოც ააფრიალა.

– მე ხელში მიჭირავს ფოტო, რომელიც ადასტურებს, რატომ დაიბარეს პროკურატურაში ონიანი. მასზე გამოსახულნი არიან ბერა ივანიშვილი, დაკავებული ადამიანი და ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე. მე ვფიქრობ, სრულიად ცხადია პოლიტიკური კავშირი ამ საქმესთან, – განაცხადა ნაცმოძის ერთ-ერთმა ლიდერმა.

წიკლაურმა ნაცმოძის მმართველობის ხანაც გაიხსენა. როცა, მისი თქმით, ქვეყანაში სხვადასხვა პროექტები ხორციელდებოდა. ახლა კი, მისი თქმით, არაფერი არ კეთდება. დეპუტატი გაოგნებულია, თუ რატომ არის ასეთ ვითარებაში მთავრობა კმაყოფილი.

– გვრჩება სრული შთაბეჭდილება, რომ საქართველო გაჩერდა. თუ თქვენც დადიხართ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, დაინახავთ სტაგნაციის იმ მართლა აღმაშფოთებელ ნიშნებს, რაც მთელ ქვეყანაშია. დიახ, საქართველო გაჩერდა თქვენი მთავრობის არაკომპეტენტურობის, უნიათობისა და უმოქმედობის გამო, მაგრამ ყველაზე სავალალო ის არის, რომ ამ დროს მთავრობა კმაყოფილია, – განაცხადა გაოგნებულმა წიკლაურმა.

ნაცმოძი გუშინ ისნის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნუკრი ქანთარიამაც გააღიზიანა. პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას მან ნაციონალ-კოლეგებს რჩევები მისცა, რაც ოპოზიციამ ძალიან იწყინა. არადა, ქანთარიამ მხოლოდ ის უთხრა, სისულელეებს ბოდავთ და ენას კბილი დააჭირეთო.

თავის მხრივ ქანთარიაც აღშფოთებულია ნაცმოძის განცხადებებით. მისი აზრით, საპარლამენტო ოპოზიცია საქართველოში რევოლუციის მოწყობას აპირებს. ამის თქმის საფუძველს მას ნაცმოძის განცხადებები აძლევს. არცთუ იშვიათად ნაციონალური მოძრაობა საქართველოს ხელისუფლებას იანუკოვიჩს ადარებს.

– ჩვენი ვუნდერკინდი ნაციონალური მოძრაობის მხრიდან დაიწყო სახიფათო პარალელების ძებნა – ჩვენს ხელისუფლებასა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს შორის. ამბობენ, რომ ვანო მერაბიშვილი ისევე გამოვა, როგორც გამოვიდა იულია ტიმოშენკო, საქართველოს ხელისუფლება მიჰყვება ვიქტორ იანუკოვიჩის კვალს, რაც პირდაპირ თარგმანში შეიძლება ასე გამოიყურება – იმ წარმატებული ვიზიტის ფონზე, რაც ირაკლი ღარიბაშვილმა აშშ-ში განახორციელა, ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთი წარმომადგენელი გვეუბნება, რომ ჩვენ აქ მოგიწყობთ რევოლუციას, ჩამოვა ლენინი სააკაშვილი, თქვენ აქედან გაიქცევით და გამოვა ვანო მერაბიშვილი. თუ ამაზე ხუმრობთ, მაშინ თვალი მაინც ჩაგვიკარით, ხოლო თუ ამას მართლა ამბობთ, მაშინ გეკითხებით: როგორ ხართ? რამე ხომ არ გჭირდებათ? ჩვენ გვყავს ექიმები უმრავლესობაში და დაგეხმარებიან, თუ არადა, აგერ ბატონი გიგია და დაგეხმარებათ ისიც. თუკი რომელიმე ხელისუფლება რევოლუციას იმსახურებდა, ეს სწორედ წინა ხელისუფლება იყო, მაგრამ ქვეყნის ინტერესების გამო, ეს არ განხორციელდა და ძალისხმევა არჩევნებისკენ წარიმართა. ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით მოხდება, რაც არის ქვეყნის წარმატებისა და სტაბილურობის გარანტი. ამიტომ, ჩემო ბატონებო, ბოდვებს მოეშვით და თავს კანონგარეშე ნუ აყენებთ. გირჩევთ, სახიფათო განცხადებების გაკეთებას თავი დაანებოთ და ენას კბილი დააჭიროთ, – ურჩია ქანთარიამ კოლეგებს.

ქანთარიას განცხადება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაციონალებმა იწყინეს. უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გოკა გაბაშვილმა ქანთარიას საპასუხოდ განაცხადა, რომ ნაცმოძი არანაირ რევოლუციას არ აპირებს.

ამასთან გაბაშვილი აცხადებს, რომ მას უმრავლესობაში ეგულება ისეთი ხალხი, რომლებიც იანუკოვიჩის ქმედებებს გაიმეორებენ.

– მე არ მესმის, რამ გამოიწვია ნუკრი ქანთარიას ასეთი აღელვება და პანიკური ნოტები მის გამოსვლაში. არავინ რევოლუციით არ იმუქრება და ჩვენ ამ გზას არ ვადგავართ. ჩვენ გვჯერა, რომ საქართველო უნდა განვითარდეს დემოკრატიული გზით და სწორედ ამ გზით უნდა მოხდეს ხელისუფლებების ცვლა. როგორც ჩვენი ხელისუფლება წავიდა დემოკრატიული გზით, ასევე თქვენი ხელისუფლებაც წაბრძანდება დემოკრატიული საარჩევნო გზით. არაფერი ისეთი, თუ თქვენ კარდინალურად არ გადაუხვევთ საქართველოს განვითარების გზას, არ მოხდება. თუ გადაუხვევთ კარდინალურად საქართველოს განვითარების გზას, თქვენი კოალიციაც მარტივად დაიხლიჩება და დაიგლიჯება რამდენიმე სეგმენტად. მე მეგულება უმრავლესობაში ხალხი, რომელიც არ მოითმენს საბოლოო ჯამში, საქართველოს ხელისუფლებამ გააკეთოს იგივე, რაც გააკეთა იანუკოვიჩმა. უკრაინის მოვლენების შემდეგ, საქართველოს მთავრობა ახლა ხვდება, რომ საქართველოს საკითხი არ უნდა ჩამქრალიყო დასავლეთისა და რუსეთის კონფლიქტურ საკითხებს შორის. თქვენ ეს ორი წელი გჯეროდათ, რომ საჭიროა რუსეთი არ გავაღიზიანოთ, საჭიროა საქართველოს საკითხი მოვხსნათ დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობებიდან. არაერთხელ გაგიცხადებიათ დეკლარირებულად, რომ კარგი იქნება თუკი საქართველოს საკითხი ჩაქრება დასავლეთსა და რუსეთს შორის კონფლიქტურ საკითხებში. მე მგონი, ცხადად ხედავთ, რომ ეს იყო შეცდომა. შეცდომაა, გქონდეს იმედი, რომ რუსეთი გაკეთილშობილდება და რუსეთი თავის მიზნებს საქართველოსთან მიმართებაში შეიცვლის. საქართველომ თავის მოკავშირეებთან და მეგობრებთან ერთად, ხელი უნდა შეუწყოს რუსეთის დასუსტებას იმპერიული ამბიციების თვალსაზრისით. რუსეთს უნდა გამოეცალოს ყველა ძალა და ყველა იმედი, რომ უფასოდ აკეთოს ის, რასაც აკეთებს ახლა. რუსეთს უნდა გაუქრეს იმის ილუზია, რომ თან იყოს მდიდარი და ეკონომიკურად წინ მიმავალი ქვეყანა და თან იყოს აგრესიული იმპერია. ძლივსძლივობით დგება ის მომენტი, როდესაც თანამედროვე სამყარო კონსოლიდირებულად დგება ამ პოზიციაზე. პრეზიდენტმა ობამამ პირველად ახსენა სიტყვა იზოლაცია. სწორედ სრული პოლიტიკური, ეკონომიკური იზოლაცია არის დღეს ის, რასაც შეუძლია რუსეთი და მისი არაადეკვატური ლიდერი გააჩეროს, – აღნიშნა გაბაშვილმა.

# ავთანდილ დემეტრაშვილი: კონსტიტუციით განსაზღვრული არ არის, რა ფორმისაა ჩვენი სახელმწიფო“

ნათია ხურცილავა

**საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვისას ერთ-ერთი მთავარი თემა ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი იქნება. როგორ სახელმწიფოში ვიცხოვრებთ — უნიტარულში, ფედერაციულში თუ კონფედერაციულ სახელმწიფოში?**

**უნიტარული სახელმწიფოს მოდელი გულისხმობს, როდესაც ქვეყნებში არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები უშუალოდ ემორჩილებიან ცენტრალურ ხელისუფლებას. ამ ქვეყნებში არც ერთ მის ნაწილს თითქმის არავითარი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სტატუსი არ აქვს.**

რაც შეეხება ფედერაციულს, კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი ჩვენთან ინტერვიუში გამორიცხავს, რომ ტერიტორიული მოწყობა სწორედ ამ მოდელით მოხდეს.

კონსტიტუციონალიტები აცხადებენ, რომ კომისიას გაუჭირდება ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხის გადაწყვეტა. ჩნდება კითხვა: თუ აფხაზები და ოსები ჩვენი მოქალაქეები არიან, მათ, პოზიცია უნდა იყოს თუ არა ასახული კონსტიტუციაში, სადაც განისაზღვრება ტერიტორიული მოწყობის საკითხი?

ამ კითხვაზე ავთანდილ დემეტრაშვილს თავისი პოზიცია აქვს, რომელიც შეიძლება მისაღები აღმოჩნდეს აფხაზებისთვისაც და ოსებისთვისაც. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს გიორგი პაპუაშვილს ვკითხეთ, თუ რამდენად მარტივი იქნება აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა?

— ტერიტორიული მოწყობის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხი იქნება. მე ეჭვი მეპარება, რომ მოკლე ვადაში ეს საკითხი გადაწყდეს. რა თქმა უნდა, მოხარული ვიქნები, რომ კომისიამ შეიმუშაოს ერთიანი პოზიცია აღნიშნულ საკითხზე. ტერიტორიული მოწყობის საკითხზე მუშაობა ჯერ კიდევ 1992-93 წლებიდან მიდიოდა, მაგრამ კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა. თუმცა, ცდად ღირს, რადგან ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და აუცილებელიც კია, რომ ამაზე კომისიამ იმსჯელოს და პოზიციები დაფიქსირდეს. — ამბობს გიორგი პაპუაშვილი.

კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი გვეუბნება, რომ საერთოდ არ არის დღეს მოქმედ კონსტიტუციაში განსაზღვრული, თუ რა ფორმის არის ჩვენი სახელმწიფო.

— 1993-95 წლებიდან მოყოლებული საქართველოს კონსტიტუციაში ვერა და ვერ შევიტანეთ საკონსტიტუციო ნორმების ის ბლოკი, რომელიც ტერიტორიულ მოწყობას ეხება. დღემდე საქართველოს კონსტიტუციაში საერთოდ არ არის განსაზღვრული, რა ფორმის არის ჩვენი სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით. ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიღებით პატარა ნაბიჯი გადაიდგა რეგიონალიზმისკენ. ვინაიდან რეგიონი, როგორც ტერიტორიული ერთეული, ისეა დაფიქსირებული. ვფიქრობ, კომისიის ერთ-ერთი ამოცანა იქნება ამ საკითხზე მსჯელობა. ამ საკითხზე მუშაობა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს და უფრო გაღრმავდეს. იქნებ ჩამოვაყალიბოთ საქართველოში თუ რა სტატუსი ექნება მსხვილ ტერიტორიულ ერთეულებს. ასევე საინტერესოა შეიქმნება თუ არა ისეთი მსხვილი ტერიტორიული ერთეულები, როგორიც არის რეგიონი და აისახება თუ არა ეს კონსტიტუციაში. ასეთი არის ტერიტორიული მოწყობის საკითხი. კიდევ არის მესამე მუხლი კონსტიტუციაში, რომელიც არეგულირებს უფლებამოსილებას ცენტრსა და რეგიონს შორის. ადგილობრივ ორგანოსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. ეს მუხლიც გადასახედია იმისდა მიხედვით, თუ როგორ ჩამოყალიბდება საქართველოს ტერიტორიული სახე: იქნება უნიტარულისკენ გადახრილი, რეგიონალიზმისკენ თუ სხვ. ფედერაცია ამ შემთხვევაში გამორიცხული იქნება.

***— უნდა იყოს თუ არა გათვალისწინებული კონფლიქტის ზონებში მცხოვრები მოქალაქეების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით?***

— ჩემი პოზიციაა, რომ ჩვენ ორპალატიან პარლამენტზე ვიფიქროთ, რომლის ზედა პალატა იქნება სენატი. სენატს ყოველთვის წარმოადგენს ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლები. სწორედ სენატის მეშვეობითაც, გარდა ტერიტორიული მოწყობისა, შესაძლებელი იქნება, მიმზიდველი ნაბიჯი გადავდგათ სეპარატისტული რეჟიმებისთვის. სწორედ სენატის მეშვეობით ჩვენ მივცემთ მათ საშუალებას, რომ უმაღლესი წარმომადგენლობა ჰქონდეთ პარლამენტის ზედა პალატაში. საქართველომ ტერიტორიები უნიტარული სახელმწიფოს პირობებში დაკარგა. სეპარატიზმი კი როგორც უნიტარული, ასევე ფედერალური სახელმწიფოს პირობებში შეიძლება განვითარდეს, მაგრამ ნაკლებად რეგიონალიზმის პრინციპზე დამყარებულ სახელმწიფოში. უნდა გითხრათ, რომ არსებობს კონსტიტუციური და სამართლებრივი მექანიზმები, როგორ შეიძლება ავიცილოთ ეს საფრთხე თავიდან. ერთ-ერთი ასეთი ინსტიტუტი, როგორც უკვე გითხარით, ორპალატიანი პარლამენტია, რომლის ზედა პალატა — სენატი ტერიტორიების წარმომადგენლობით პრინციპზე დაყრდნობით იქნება შექმნილი. ნეგატიური მოვლენები, რომელიც შეიძლება ტერიტორიული მოწყობის საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება განვითარდეს, არა რეგიონში, არამედ ცენტრალურ ორგანოში — სენატში უნდა წყდებოდეს და თავიანთ უფლებებს რეგიონები იქ იცავდნენ. მე არ გამოვრიცხავ, რომ კონფლიქტური რეგიონების წარმომადგენლებს ჰქონდეთ უპირატესი უფლება, რომ დაიკავონ ხელმძღვანელი თანამდებობი სენატში. ეს დეტალებია, თუმცა, შეიძლება ტერიტორიული მოწყობის საკითხის გადაწყვეტა მოხდეს.

***— თუმცა, ურთულესი საკითხია, როგორც კონსტიტუციონალიტები ამბობენ. შეიძლება ახალ რედაქციაში ჩაიდოს თუ როგორი მოწყობის სახელმწიფოში ვიცხოვრებთ?***

— 1993 წელსაც გვქონდა ხედვა, როგორ უნდა დარეგულირებულიყო ტერიტორიული მოწყობის პრინციპი. ამ საკითხზე 2009-2010 წლის რეფორმის დროსაც ვმსჯელობდით და ხედვებიც იყო, მაგრამ კონსტიტუციაში ვერ ჩაიდო. ჩემი პოზიციაა, რომ ქვეყანა არა ფედერალური, არამედ რეგიონალიზმის პრინციპზე დაყრდნობილი, ასიმეტრიული სახელმწიფო იყოს. ქვეყანაში მსხვილი ტერიტორიული ერთეულები უნდა არსებობდეს, ყველაზე კარგი იქნება, ამას რეგიონი დავარქვათ ან მხარეები. მე ვფიქრობ, რომ უნდა იყოს აჭარის, აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონები. მათ უნდა ჰქონდეთ განსაკუთრებული სტატუსი, თუმცა რა სტატუსი ექნება, ეს მსჯელობის საგანია. დღეს არსებული კონსტიტუციით, მსგავსი დაყოფა არ არსებობს, გარდა იმისა, რომ კონსტიტუციაში წერია თბილისის თვითმმართველი სტატუსის შესახებ. ჩემი აზრით, ახალმა ხელისუფლებამ ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგა.

***— თუ შეიძლება, ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთობის დაბალანსების შესახებაც რომ გვითხრათ, დღეს მოქმედი კონსტიტუცია ვის მხარეს იხრება?***

— კონსტიტუციონალიზმის თეორიაში ცნობილია, რომ ყოველი სისტემა სიმეტრიულია. როდესაც ვამბობთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, ეს იმას ნიშნავს, რომ სიმეტრია პრეზიდენტისკენ იხრება. როდესაც ვამბობთ, რომ ესა თუ ის სახელმწიფო საპარლამენტო რესპუბლიკა არის, მაშინ ვგულისხმობთ, რომ პირველადობა ამ შემთხვევაში პარლამენტს ეკუთვნის. რაც შეეხება საქართველოში მოქმედ კონსტიტუციის ახალ რედაქციას, რომელიც 2013 წელს ამოქმედდა, აშკარაა, რომ სისტემა ნელ-ნელა მიდის პარლამენტის პირველადობისკენ ანუ საპარლმანტო რესპუბლიკისკენ მივდივართ. სწორედ ამას გულისხმობდა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, როდესაც აცხადებდა, რომ დაბალანსებაა საჭირო. 2013 წლის რედაქციით ჩვენ შევეცადეთ, რომ პარლამენტის როლის გაზრდა მომხდარიყო, მაგრამ ეს პროცესი ბოლომდე მაინც არ იყო მიყვანილი მთელ რიგ საკითხებთან აკავშირებით.

***— კონკრეტულად რომ გვითხრათ?***

— არ იყო განსაზღვრული ნიუანსებში მთავრობის როლი, პრემიერ-მინისტრის როლი და ა.შ. ახალი საკონსტიტუციო კომისიის ძირითადი ამოცანა იქნება, საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელის შტოების ურთიერთობა დააბალანსოს.



# ახალგაზრდა ადვოკატები“ საზოგადოებას მიმართავენ

გულიკო ბალაძე

**როგორც ცნობილია, წინა კვირას თბილისის საქალაქო სასამართლომ ყოფილი შს მინისტრი და ნაციონალური მოძრაობის ხერხემალი, 26 მაისის აქციის მონაწილეთა სასტიკი დარბევის ფაქტზე, რომელსაც მოჰყვა რამდენიმე ადამიანის სიკვდილი, ვანო მერაბიშვილი დამნაშავედ ცნო. არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ აცხადებენ, რომ სასამართლომ 2011 წლის 26 მაისის საქმეზე გადაწყვეტილებით, არასამთავრობო ორგანიზაციების მცდარი წარმოდგენებიც შეცვალა.**

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ 2011 წლის 26 მაისს, რუსთაველის გამზირზე მომიტინგეთა დაშლისა და მასობრივი დაკავების ფაქტზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხმაურება და საზოგადოებას მიმართავს.

— ყურადღება გამახვილდეს სამოხელეო დანაშაულის ჩადენის სამართლებრივ მნიშვნელობაზე. ორგანიზაციის შეფასებით, სასამართლო პრაქტიკამ შექმნა პრეცედენტი, როდესაც შეკრებისა და მანიფესტაციის დაშლის ფაქტზე გადაწყვეტილება გამოიტანა ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით და შექმნა სამართლებრივი დასაბუთება ხელისუფლების ქცევისთვის, მსგავსი შემთხვევების დროს მაქსიმალურად დაიცვას კანონი და ადამიანის უფლებები, — აცხადებს „ახალგაზრდა ადვოკატები“.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის, არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით:

— 2011 წლის 26 მაისის მანიფესტაციის დაშლის ფაქტზე, მაღალი სტანდარტით დადასტურებულია ხელისუფლების გადამეტებული ძალის გამოყენება და საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის უკანონო ბრძანების გაცემის ფაქტი, რამაც გამოიწვია მოქალაქეთა უფლებების, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესების დარღვევა. 2011 წლის 26 მაისის მანიფესტაციაზე, აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების პრეცედენტული ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ ხაზი გაუსვა ორ მნიშვნელოვან მაღალ სამართლებრივ სიკეთეს.

კერძოდ:

— რუსთაველის გამზირზე მიტინგის ვადის გასვლის შემდეგ, მომიტინგეთა მასობრივი დაკავება და ამ მიზნით, რუსთაველის გამზირიდან გასასვლელი ქუჩების წინასწარ ჩაკეტვის შესახებ; ასევე, ძალის გამოყენების გაფრთხილების შემდეგ, მომიტინგეთათვის საჭირო დროის მიცემის გარეშე, მიტინგის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და მონაწილეთა დაშლის თაობაზე ბრძანება იყო უკანონო.

რუსთაველის გამზირზე მიტინგის ვადის გასვლის მიუხედავად, არ არსებობდა ობიექტური საჭიროება მართლსაწინააღმდეგოდ გამოყენებულიყო სხვადასხვა სპეციალური საშუალებები: წყალსატყორცნი, ცრემლსადენი გაზი, ფსიქოლოგიური ზემოქმედების სპეციალური აკუსტიკური მოწყობილობა, რეზინის ტყვიები და ხელკეტები.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მიმართავს უფლებადაცვით ორგანიზაციებს, სამართლის სპეციალისტებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებს, რათა 2011 წლის 26 მაისის საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილება გახდეს სამართლებრივი დისკუსიის საფუძველი, რათა შექმნას პრაქტიკული გამოცდილება მსგავსი შემთხვევების მიმართ სწორი სამართლებრივი დასკვნებისა და შეფასებების გამოთქმის პროცესში, კვლავინდებურად არ მოხდეს მრავალგვარი ინტერპრეტაცია და საზოგადოებაში მცდარი მოლოდინების წარმომქმნელი.

არასამთავრობო სექტორს მთავრობის მართლზომიერი და ლეგიტიმური მიზნის გამოყენების პროცესში, განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. სასამართლო გადაწყვეტილება ამ თვალსაზრისით, პოლიტიკის შემქმნელი პირების მიმართ გავლენიანი ორგანიზაციების გაკეთებულ შეფასებებსაც გამორიცხავს, რომელთა მოსაზრებითაც, „იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტთან მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილეები მერიის შეტყობინების ვადის ამოწურვის შემდეგ (24:00 საათი) არ დაიშლებოდნენ, პოლიციას მათი დაშლის სამართლებრივი საფუძველი ექნებოდა“.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სამოქალაქო სექტორი პრაქტიკულ დოკუმენტად აღიქვამდეს სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამართლებრივი რეალობის სუბიექტური მხარე და მოხდეს სასამართლო პრაქტიკის იმპლემენტაცია საკანონმდებლო დონეზე, დაიწყოს ფართო დისკუსია შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების მეტი სამართლებრივი გარანტიების შექმნისთვის.

# სოფლებში ნაგვის ბუნკერებს დადგამენ

ნათია ხურცილავა

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალ ნიჩბისში სოფლის საერთო კრებას დაესწრო. კრება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაიმართა. სოფლის მოსახლეობამ თავიანთ პრობლემებზე ისაუბრეს და ის პრიორიტეტებიც განსაზღვრეს, რისი მოგვარებაც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სურს.**

— ბევრი პრობლემით დატვირთული სოფელია, სადაც არსებობს წყლისა და გაზიფიცირების პრობლემები, თუმცა ამ პრობლემებზე სხვა სამინისტროები მუშაობენ და მათ პრიორიტეტებში არის განსაზღვრული ეს საკითხები. უშუალოდ ჩვენი სამინისტროს კუთხით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გასულ წელს დაწყებული ბავშვთა გასართობი სკვერის კეთილმოწყობა დასრულდება. ნაბიჯ-ნაბიჯ ყველა პრობლემას ვაგვარებთ, ერთბაშად ყველა პრობლემის მოგვარება შეუძლებელია, თუმცა მთავარია, ხალხთან გვაქვს კონსულტაციები. — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ცნობილი გახდა, რომ პროგრამის ფარგლებში სოფლებში ბუნკერებიც დაიდგმება. პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები 2014 წელს უნდა დასრულდეს. სოფელ ახალ ნიჩბისისთვის აღნიშნული პროგრამიდან 16 200 ლარია გამოყოფილი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის“ საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი პროექტების განსახორციელებლად 50 მილიონი ლარი გამოყო. პროგრამით გათვალისწინებული თანხებით, როგორც მინისტრი ნარმანია აცხადებს, მოხდება სოფლების პირველი რიგის საჭიროებების დაკმაყოფილება.

პროგრამის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, 2014 წელს ადმინისტრირების წესში ცვლილებები შევიდა. პროგრამით გამოყოფილი თანხების ხარჯვამ შეიძინა უფრო მიზანმიმართული ხასიათი. თანხა უნდა მოხმარდეს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვას ან გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა-აღჭურვას. რაც შეეხება ისეთ საჭიროებებს, როგორიცაა: ისტორიული ძეგლების, სოციალურ-კულტურული და რელიგიური დანიშნულების ობიექტების რეაბილიტაცია, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლისა და მომსახურების შეძენა, მათი დაფინანსება ხორციელდება სპეციალური სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი აცხადებს, მიმდინარე წელს მნიშვნელოვნადაა გაზრდილი მცირეკომლიანი სოფლების, რომლებიც ძირითადად მთიან რეგიონებში მდებარეობენ ხვედრითი წილი და ასეთი სოფლების დაფინანსება გაიზარდა. ეს ცვლილება მეტ საშუალებას მისცემს აღნიშნულ სოფლებს, გააუმჯობესონ ინფრასტრუქტურა და ხელს შეუწყობს სოფლებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც შედეგად, შეანელებს არასასურველ მიგრაციულ პროცესებს.

პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა დასრულდეს 2014 წელს. აღნიშნული ნორმა ხელს შეუწყობს პროგრამის განმახორციელებელთა პასუხისმგებლობის ამაღლებას და უფრო ხელშესახებსა და საგრძნობს გახდის მის შედეგებს სოფლის მოსახლეობისათვის.

# ვალერი გელბახიანი: ოცნება და ნაციონალები ერთმანეთს ეჯიბრებიან“

მარიკა მჭედლიშვილი



რომელმა მხარემ მოიპოვა გეოპოლიტიკური გამარჯვება უკრაინაში? რა ელის საქართველოს? იღებს თუ არა საქართველოს მმართველი პარტია გადაწყვეტილებებს „ნაციონალების“ ინიციატივების საფუძველზე?-ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ყოფილ დეპუტატს ვალერი გელბახიანს ესაუბრა.

***— შეიძლება თუ არა უკვე დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, თუ რომელმა გარეშე ძალამ გაიმარჯვა უკრაინაში?***

— გამარჯვებული და დამარცხებული მაშინ გამოვლინდება, როცა უკრაინაში მიმდინარე მოვლენების საბოლოო შედეგები იქნება ცნობილი. დღევანდელი მდგომარეობით, ვხედავ, რომ რუსეთი უფრო მოგებული რჩება ამ პროცესებით.

***— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?***

— ძალიან ბევრი რამ. თუნდაც, ყირიმში განვითარებული მოვლენები. მოგეხსენებათ, რუსეთი ყირიმის მიმართ განსაკუთრებულ პოლიტიკას ატარებს.

***— საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ყირიმი 60 წლის წინ მიაკუთვნა უკრაინას...***

— დიახ. მაგრამ საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში ყირიმის უკრაინისთვის გადაცემა მაინცდამაინც დიდი დანაკლისი არ იყო. შემდეგ საბჭოთა კავშირი დაიშალა. რუსეთს ტერიტორიების მიმართ გაუჩნდა „დერჟავული“ დამოკიდებულება. რუსეთს სჭირდებოდა საბაბი და ეს საბაბი მას მიეცა. ყირიმი ნაღმივით იყო ჩადებული რუსეთის საგარეო პოლიტიკაში და ის ამუშავდა.

***— როგორ განვითარდება იქ მოვლენები?***

— სამხედრო ოპერაცია და ომი მოსალოდნელი არ არის.

***— 4 მარტს ეს ნათლად გამოიკვეთა...***

— საომარი მოქმედებები მოსალოდნელიც არ იყო. ბუნებრივია, რუსეთი თავის თავს არ გამოკვეთავს მოძალადედ, რომელიც სხვას ართმევს მიწებს და ურღვევს ტერიტორიულ მთლიანობას. ამ საკითხით რუსეთი ბოლომდე ივაჭრებს და პრინციპში, მოგებული დარჩება. რუსეთი მიაღწევს იმას, რომ ყირიმში ან გაიზრდება ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური ფარგლები და უფლებამოსილება, ან ჩატარდება რეფერენდუმი და ყირიმის მოსახლეობა გამოხატავს აზრს, რომ ის რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის მომხრეა და არ უნდა უკრაინის შემადგენლობაში ყოფნა. ეს საკითხი, ალბათ, დადგება, მაგრამ, რუსეთი აირჩევს არაღიარების პოლიტიკას. რეფერენდუმის შემდეგ რუსეთი ყურადღებას გაამახვილებს რეფერენდუმის შედეგებზე, ხალხის ნებაზე, თუმცა, იურიდიული ფორმით ამ ტერიტორიას არ გაიფორმებს.

***— დიდი ამბებია აღმოსავლეთ უკრაინაში...***

— აღმოსავლეთი უკრაინის სამრეწველო ნაწილი კვლავ რჩება დებატების საგნად. იქაც ძალიან სერიოზული გამოსვლებია და იოლად ეს პრობლემა არ გადაიჭრება. ბევრი შეცდომაა უკვე დაშვებული.

***— ვინ დაუშვა შეცდომები?***

— უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ. არასწორი იყო რეგიონულად აღიარებული რუსული ენის აკრძალვის თაობაზე გადაწყვეტილება. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ამ კანონპროექტს ხელი არ მოაწერა, მაგრამ უმაღლესმა რადამ ხომ მიიღო ასეთი გადაწყვეტოლება! ამან ხალხის მღელვარება გამოიწვია. ამ ფაქტს დესტაბილიზაცია მოჰყვა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ადამიანებმა უკრაინული დროშები ჩამოყარეს და რუსეთის დროშები დაკიდეს. მეორე დიდი შეცდომა იყო „რუსულ რეგიონებში“ გუბერნატორებად ოლიგარქების დანიშვნა. ესეც, ალბათ, დაუმორჩილებლობას გამოიწვევს. ასეთ დროს მოსახლეობის აზრის გაუთვალისწინებლობა კონფლიქტს იწვევს. ჩვენ კონსტიტუციაში გვაქვს ჩადებული მექანიზმი, როცა, დადგენილებას ძალაში შესვლამდე მას ხელს უნდა აწერდეს ერთდროულად პარლამენტი, პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი. როცა ასეთი მექანიზმები არ არის გამოყენებული, მოსალოდნელია დაპირისპირება და მოსახლეობის უკმაყოფილება. არ ვიცი, ემოციურ ფონზეა ეს გადაწყვეტილებები მიღებული თუ უცოდინარობით, მაგრამ, კარგი რჩევის შედეგი არაა. ამ ვითარებაში რუსეთი იმოქმედებს იმ პოლიტიკით, რომელიც მის ინტერესებში შედის. ნუ დაგვავიწყდება, რომ უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებზეა დამოკიდებული ქვეყნის ბიუჯეტი და მთლიანად ეკონომიკა.

***— დასავლეთიც ხომ შეპირდა დახმარებას?***

— რა ინექციებიც არ უნდა გააკეთოს ევროკავშირმა (10-მილიარდიანი დახმარებაც რომ იყოს), ეს უკრაინისთვის საკმარისი არ იქნება, მით უმეტეს, თუ ენერგომატარებლები გაუძვირდებათ. ასეთ პირობებში უკრაინაში დაიხურება ფაბრიკა-ქარხნები, დაიწყება მასობრივი უმუშევრობა. ეს გამოიწვევს სოციალურ მღელვარებას, დემონსტრაციებს, უნდობლობას ხელისუფლების მიმართ. ეს სიტუაცია აისახება არჩევნებზე, თუ, საერთოდ ჩატარდა ეს არჩევნები. ამიტომ, უკრაინის საკითხები დასრულებულად არავინ არ უნდა ჩათვალოს. თუმცა, უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ რუსეთს ხელში ჩაუვარდა პოლიტიკური და ეკონომიკური კოზირები. გვინდა ჩვენ თუ არა, სახეზეა რუსული პილიტიკის წარმატება. რუსეთის ბევრი ქალაქის სახელი იწყება „ვლადი“-თ. . „ვლადეი“-ს (ფლობდე) პრინციპით არსებობს რუსული სახელმწიფო. როცა ქვეყანა ასეთი პრინციპით ვითარდება, ის არც ერთ შემთხვევაში არ გაუშვებს ხელიდან, რომ გაიფართოვოს ტერიტორიები და გავლენა.

***— სანქციებით ვერ დააშინებენ?***

— რუსეთს დაემუქრნენ, რომ მის ოლიგარქებს ანგარიშებს გაუყინავენ. ეს სასაცილოა. ოლიგარქისთვის ანგარიშის დაკეტვამ რა უნდა დააკლოს რუსეთის ეკონომიკას? პირიქით. რუსეთზე სხვა ბევრი ქვეყანაა დამოკიდებული. იგივე გერმანია, ევროპის სხვა სახელმწიფოები. თურქეთის ეკონომიკაც კი ისეა რუსეთზე მიბმული, რომ დარწმუნებული ვარ, თურქეთი გახდება რუსეთის მოკავშირე. თურქეთს აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აქვს რუსეთთან. თურქეთის პოლიტიკურ წრეებში იმასაც ფიქრობენ (ალბათ, ამ აზრს არ შეიცვლიან), რომ რუსეთთან საბაჟო კავშირის ხელშეკრულება გააფორმონ, რათა მათ შორის საბაჟო ბარიერები არ იყოს. ასე რომ, ამ სანქციებით რუსეთი კი არ დაზარალდება, არამედ, თურქეთი და სხვები. ეს მუქარა ძალიან არასერიოზული იყო. რუსეთისთვის ერთადერთი საფრთხე შეიძლება იყოს ევრომაიდნის კრემლის წინ მოწყობა.

***— არსებობს ამის შესაძლებლობა?***

— ჯერჯერობით, უკრაინასთამ მიმართებაში რუსეთი არ დაზარალებულა. პირიქით. რუსეთის ხელში აღმოჩნდა ახალი ბერკეტები.

***— რომელ ბერკეტებზეა საუბარი?***

— რუსეთის გარეშე უკვე უკრაინის არც ერთი პრობლემა არ გადაწყდება. ამას იმიტომ კი არ ვამჩნევთ და ვამბობთ, რომ რუსეთი მოგვწონს. უბრალოდ, რუსეთი რეალური ფაქტორია. რაციონალურად თუ შეხედავს კაცი რუსეთის საგარეო პოლიტიკას და ისტორიას, მიხვდება, რა ხდება.

გაგრძელება მე-8 გვერდზე









# რას ითხოვს ცხინვალის თეატრი?

ეკა ირემაშვილი




ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა კულტურის სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გამართა. „გადავარჩინოთ ცხინვალის თეატრი" – ასე ეწოდებოდა აქციას, რომელზეც თეატრის წარმომადგენლები არსებულ მდგომარეობაში გარკვევას ითხოვდნენ.

ცხინვალის თეატრმა უკვე გამართა გამაფრთხილებელი საპროტესტო აქცია ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრის წინ, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. არსებულმა პრობლემამ გორის დეპუტატის სოსო ვახტანგაშვილის წყალობით პრეზიდენტამდეც მიაღწია.

– მოხდა შეხვედრა პრეზიდენტის წარმომადგენლებთან, თეატრის მმართველს განუმარტეს, რომ კულტურის სამინისტრო პირდაპირი ხაზით ვალდებულია თავის დაქვემდებარებაში აიყვანოს ცხინვალის თეატრი და მოაგვაროს მისი პრობლემები, მაგრამ მიუხედავად ამისა, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, მაინც არ იცვლიან თავის დამოკიდებულებას და მიდგომას ჩვენი თეატრის მიმართ, ამიტომ იძულებულები გავხდით მოგვეწყო მორიგი საპროტესტო აქცია. ყველას ვთხოვეთ და მოვუწოდეთ, დაგვდგომოდნენ მხარში. ჩვენი თეატრი 138 წლისაა და 23 წლიანი დევნილობის ურთულეს პირობებშიც პირნათლად ასრულებს თავის მისიას. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით თუ დღევანდელ საქართველოში ცხინვალის თეატრის ყოფნა-არყოფნის პრობლემა დადგებოდა, რადგან ეს თეატრი ერთადერთი კერაა, რომელიც 1991 წელს მომხდარი მოვლენების გამო, სრულიად სახეუცვლელი, იძულებით გადმოადგილდა თბილისში, ერთადერთი კერაა, რადგან სხვა სამაჩაბლოდან დევნილ მოსახლეობას არ გააჩნია არც მთავრობა, არც სამინისტროები. მხოლოდ ერთი ცხინვალის თეატრი დაგვრჩა ნუგეშად. ჩვენი თეატრი ერთადერთი კერაა, რომელიც იმ კულტურული ღირებულებების მატარებელია, რაც სამაჩაბლოს ამ ძირძველ კუთხეს უხვად ჰქონდა. ერთადერთი საშუალებაა, სადაც სამაჩაბლოდან დევნილ მოსახლეობას შეუძლია მოვიდეს და საკუთარი მიწა-წყლის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი და მონატრება ოდნავ მაინც შეიმსუბუქოს. ცხინვალის თეატრი ის ერთადერთი იმედია, რაც კიდევ გვანუგეშებს ცხინვალელებს, რომ როდესღაც ჩვენს მიწა-წყალზე დავბრუნდებით და თუ აღარ იარსებებს ეს თეატრი, ჩავთვლით, რომ აღარც სამაჩაბლოს დაბრუნება დგას დღის წესრიგში და ჩვენივე ხელით ვუთმობთ მას ჩვენს მტერს. ამიტომ ვთხოვთ ყველას, დაგვიდგნენ მხარში, ნუ ჩაგვიქრობენ ამ ერთადერთ იმედის ნაპერწკალს და ერთად გადავარჩინოთ ცხინვალის თეატრი. ცხინვალის თეატრმა მოაწყო მეორე საპროტესტო აქცია, ახლა უკვე კულტურის სამინისტროსთან. პროტესტის ამგვარი ფორმისთვის არასოდეს მიგვიმართავს, მაგრამ სამწუხაროდ, სხვა გზა არ დაგვიტოვეს. სამწუხაროდ, დღემდე ვერ გაირკვა ჩვენი თეატრის მდგომარეობა. იურიდიული სტატუსი და ადფინანსება, ეს არის ჩვენი პრობლემა და ეს არის მოჯადოებული წრე, რომელიც ტრიალებს ორ ორგანიზაციას შორის, კულტურის სამინისტროსა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას შორის. უამრავი წერილი, განცხადება თუ თხოვნა გვაქვს გაგზავნილი ყველასთვის. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ვილაცას ან სურვილი არ აქვს, ან ჩვენი იგნორირება სჭირდებათ, – განაცხადა თეატრის მმართველმა ზაზა თედიაშვილმა.

აქციის მონაწილეებმა სამინისტროსთან გამოფინეს ტრანსპარანტები: „კულტურის სამინისტროს 80 მილიონიან ბიუჯეტში მაჩაბლის თეატრისთვის თანხა არ არსებობს?!", „ჩვენ არ ვართ მუზეუმი, ჩვენ არ ვართ ექსპონატები, ჩვენ ვართ ცოცხლები!!!", „სამაჩაბლოს ერთადერთი გადარჩენილი კულტურის კერა დაფინანსების გარეშე რჩება?!", „კულტურის სამინისტროსა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას შორის ჩაკარგული 138 წლის ცხინვალის თეატრი".

– სამინისტრომ თეატრს 100.000 ლარი გამოუყო, რაც საარსებო მინიმუმისთვისაც კი არაა საკმარისი. ცხინვალში როცა არსებობდა თეატრი და კომუნისტების დროსაც კი როცა მშვიდი ცხოვრება იყო, მაშინაც შევიწროვებული იყო ჩვენი თეატრი ყოველმხრივ და უპირატესობა ოსურ დასს ენიჭებოდა. დღეს, როდესაც ყველაფერი დავკარგეთ და აბსოლუტურად არაფერი რ დაგვრჩა, ერთადერთი თეატრი გადარჩა, რომელიც ცოცხალია და თავისი გზა და თავისი პერსპექტივა აქვს. სამწუხაროა, რომ თბილისში დევნილი თეატრი ასეთ დღეშია. რკინიგზელთა სახლში ვართ შეკედლებულები. წინა მთავრობის დროს სამინისტრომ პროგრამული დაფინანსება 300.000 გამოგვიყო, ახლა კი 100.000 მოგვცა. საშუალება არ გვაქვს და ამაზე მეტს ვერ მოგცემთო. გასულ კვირას პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლისას თეატრთან დაკავშირებით საკითხი დაისვა და პრეზიდენტმა ჩვენს დასახმარებლად პირობა დადო. შემდეგ ჩვენი წარმომადგენელი შეხვდა მინისტრის მოადგილეს და თქვა, რომ იგივე პოზიციაზე რჩება. ამ პირობებში შესაძლოა თეატრმა ფუნქციონირება შეწყვიტოს. ჩვენ არაფერს განსაკუთრებულს არ მოვითხოვთ, ჩვენ გვინდა თეატრმა ნორმალურად იფუნქციონიროს. თუკი ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, საპროტესტო აქციებს კვლავ მოვაწყობთ და ამ საკითხთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრს მივმართავთ. მიგვაჩნია, რომ კულტურის სამინისტროსთვის ცხინვალის თეატრის გადარჩენა პრიორიტეტული უნდა იყოს, – განაცხადა თეატრის მსახიობმა ვაჟა ციცილოშვილმა.

საპროტესტო აქციის მონაწილეებმა მოითხოვეს წლიური ბიუჯეტის დამტკიცება და თეატრში არსებული პრობლემების მოგვარებაც. როგორც აქციაზე ითქვა, თეატრი იურიდიულად სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ბალანსზეა, რომელიც თეატრისთვის სრულ დაფინანსებას ვერ უზრუნველყოფს.

აქციის მონაწილეებს კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი შეხვდა. როგორც მან აღნიშნა, სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ცხინვალის თეატრმა ფუნქციონირება გააგრძელოს. მისივე თქმით, გურამ ოდიშარიას უწყება ნახევარ თანხას გაიღებს და თეატრს 500.000 ლარს გამოუყოფს:

– მზად ვართ დავაფინანსოთ ეს თეატრი, ჩვენ ველოდებით ადგილობრივ თვითმმართველობას, რომლის დაქვემდებარებაშიც არის ცხინვალის თეატრი. ადგილობრივი თვითმმართველობა უნდა იბრძოდეს იმისთვის, რომ რაღაცნაირად დაიმატოს ბიუჯეტი თეატრისთვის, თუ ეს არ შეუძლია, მაშინ სხვა გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ გამოგვეყო სახსრები და გვერდში დავდგომოდით ამ თეატრს, – განმარტა მანანა ბერიკაშვილმა.

ცხინვალის თეატრის დასმა კულტურის მინისტრის მოადგილეს მიმართა თხოვნით, თეატრი მთლიანად კულტურის სამინისტროს უწყების დაქვემდებარებაში გადავიდეს.

# ლია კაპანაძე 80 წლისაა

ეკა ირემაშვილი

**ცნობილი ქართველი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, თეატრისა და კინოს ვარსკვლავი, თუმანიშვილის თეატრის მსახიობი ლია კაპანაძე 80 წლისაა. მსახიობის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი აწყობს ღონისძიებების ციკლს „ლია კაპანაძე – 80", რომელიც სამი დღის განმავლობაში გაიმართება.**

– 8, 9 და 10 მარტი ეძღვნება უსაყვარლეს და უთბილეს ქალბატონ ლიას. სამი დღის განმავლობაში თეატრში მოსული მაყურებელი ნახავს იმ სპექტაკლებს, რომლებშიც უშუალოდ იუბილარი მსახიობი მონაწილეობს. 8 მარტს კინომსახიობთა თეატრის სცენაზე გათამაშდება რეჟისორ ქეთი დოლიძის მიერ დადგმული სპექტაკლი „სამეფო ოჯახი", 9 მარტს „7 პატარა პიესა", რომელიც რეჟისორმა ზურაბ გეწაძემ დადგა, 10 მარტს კი გაიმართება ღონისძიება „შეხვედრები თუმანიშვილის თეატრში", სადაც მაყურებელი იუბილარ ლია კაპანაძეს შეხვდება, – აცხადებს კინომსახიობთა თეატრის წარმომადგენელი მაკა პეტრენკო.

ლია კაპანაძის პედაგოგები იყვნენ აკაკი დვალიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, დოდო ალექსიძე, არჩილ ჩხარტიშვილი, სერგო ზაქარიაძე, ლილი იოსელიანი. რუსთაველის თეატრში მან 12 როლი შეასრულა, მარჯანიშვილის თეატრში 15, კინომსახიობთა თეატრში 10. რაც შეეხება კინოკარიერას, გამორჩეულია მისი გმირი მერაბ კოკოჩაშვილის ფილმში „დიდ მწვანე ველი", სადაც იგი დოდო აბაშიძის პარტნიორი იყო. ამჟამად იუბილარი მსახიობი კინომსახიობთა თეატრში მუშაობს და თეატრის ერთგულ მაყურებელს კვლავაც აკვირვებს თავისი დახვეწილი სტილით.

სამი დღის განმავლობაში კინომსახიობთა თეატრი მთლიანად ლია კაპანაძეს და მის შემოქმედებას დაეთმობა, 15 მარტს კი თუმანიშვილის თეატრში ფოთის თეატრი ჩამოვა, სადაც წარმოადგენს ანტონ ჩეხოვის მიხედვით რეჟისორ დავით მღებრიშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლს „ალუბლის ბაღი. რეპეტიცია".

# ვალერი გელბახიანი: ოცნება და ნაციონალები ერთმანეთს ეჯიბრებიან"

დასაწყისი მე-7 გვერდზე

***– საქართველოში რა შეიძლება მოხდეს?***

– არსებობს პროგნოზები მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. თუ რუსეთის ხელს არ აირებს ევრაზიული კავშირის შექმნაზე(ალბათ, არ აიღებს, იმიტომ რომ ახლანდელი პრობლემები ამის გამო გაჩნდა), ცხადია, საქართველოს სირთულეები ექნება. საქართველო ერთ-ერთი საკვანძო სახელმწიფოა კავკასიის რეგიონში. ჯერჯერობით არსებობს რუსეთთან დიალოგის შესაძლებლობა. თუ ამან არ გაჭრა, ამუშავდება საფრთხეები. ასეთ შემთხვევაში, უნდა ველოდოთ, რომ იქნება პროვოკაციები. ეს, სავარაუდოდ, მოსალოდნელია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე.

***– ანუ ვითარება, სავარაუდოდ, მალე გართულდება?***

– დაახლოებით, მაის-ივნისში. ამიტომ ჩვენ სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ. დღეს პარლამენტი იღებს უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციას. ფაქტიურად, ესაა ანტირუსული დადგენილება. საქართველოსნაირი ქვეყნისთვის ეს სახიფათოა. რა, მეხამრიდია ეს დადგენილება და ვინმეს გადაარჩენს? საქართველოს ეს დადგენილება არაფერში წაადგება. სამწუხაროა, რომ პარლამენტის უმრავლესობა აჰყვა „ნაციონალების" რიტორიკას. როგორც ჩანს, ერთმანეთს ბაძავენ ანტირუსულ კამპანიაში. ესენიც სააკაშვილს დაემსგავსნენ. აგერ, გვერდით გვყავს აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი. რომელმა მათგანმა გააკეთა უკრაინასთან დაკავშირებით მწვავე განცხადებები და რომელმა მიაღებინა თავის პარლამენტს ასეთი რეზოლუცია? ისევ ჩვენ უნდა ვიყოთ ამ დღეში. ერთი ანდაზისა არ იყოს, უკვანტავ საქმეს საკვანტავად ვიხდით. ეს ხდება იმ დროს, როცა ძლივს გამოჩნდა რუსეთთან დალაპარაკების შანსი. მსოფლიოში ქვეყნებს სხვადასხვა კლასიფიკაცია აქვს. აშშ თავის თავს პირველ ქვეყანას უწოდებს. მეორე რიგის ქვეყნებია მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები. მესამე რიგის, ანუ მესამე სამყაროს მიეკუთვნება განვითარებადი ქვეყნები. საქართველო სწორედ განვითარებადი ქვეყანაა. მესამე სამყაროს ქვეყანას ვინ ეკითხება რამეს გლობალური პოლიტიკის საკითხებში? უკრაინელების მიმართ დახმარება ტერიტორიული მთლიანობის საკითხებში, სხვა საქმეა. შეიძლება საქართველოდან უკრაინაში დელეგაციები ჩავიდნენ, მიტინგებში მიიღონ მონაწილეობა, მაგრამ, ეს რეზოლუცია რისი მომტანია? სამწუხაროდ, გრძელდება სააკაშვილის შეცდომებით სავსე პოლიტიკა. საუბარი არაა იმაზე, გვიყვარს თუ არა რუსეთი. რუსეთი საფრთხის მატარებელი მეზობელია. იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ საფრთხე როგორმე ავიცილოთ თავიდან. საქართველო მარტო ხელისუფლება არაა. ხელისუფლება ვალდებულია, დაიცვას საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოება. ასეთი გაუაზრებელი მოქმედებებით მშვიდობას ვერ შეინარჩუნებენ.



**წლის და 9 თვის ელისაბედ დარჩიას სასწრაფოდ ესაჭიროება გადაუდებელი მკურნალობა საზღვარგარეთ, შესაძლოა დასჭირდეს განმეორებითი ოპერაციაც. გოგონა დაიბადა შინაგანი ჰიდროცეფალიის დიაგნოზით, ჩატარებული აქვს თავის ტვინის შუნტირება, რამაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ელისაბედს ჰყავს სრულიად ჯანმრთელი ტყუპისცალი ძმა. უმორჩილესად გთხოვთ, თუნდაც მცირედით დავეხმაროთ პატარა ელისაბედს:**

**თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია „ლიბერთი ბანკის" ანგარიშზე: GE95LB071115428681940**

**☎ 577-544-222, 598-204-570**

## განცხადებები

- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექიმი ქ-ნი სალომე.
- მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.
- მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.
- მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.
- ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.
- გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

# საქართველოს ნაკრების ნაცნობი ჯგუფი

ევრო-2016 ახალი ფორმატით ჩატარდება. ფინალურ ეტაპზე 24 გუნდი იასპარეზებს, რაც ავტომატურად შესარჩევი ეტაპის ფორმატის ცვლილებასაც იწვევს. უკვე მესამეადგილოსან გუნდსაც აქვს შანსი ითამაშოს ბებერი კონტინენტის უძლიერეს გუნდებთან.

ეს შანსს ისეთ ნაკრებსაც აძლევს, როგორიც საქართველოა. აკი, განაცხადა კიდეც საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ წინა შესარჩევების დროს, ეს ყველაფერი 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელი ეტაპია, სადაც აუცილებლად უნდა ვითამაშოთო.

**მწვრთნელთა შეფასებები**

ქეცბაიას განცხადებები ერთია და დ ჯგუფში საქართველოს დიდი ბრძოლების გადატანა მოუწევს. გერმანია, პოლონეთი, ირლანდია, შოტლანდია, გიბრალტარი – ამ ჯგუფში მესამე ადგილის დაკავებაც კი ამ ეტაპზე წარმოუდგენლად მოჩანს. თუმცა, ამ აზრს არ იზიარებს თავად ქეცბაია:

– ეს სერიოზული, მაგრამ ამასთან, საინტერესო ჯგუფია. რა თქმა უნდა, გერმანია უდავო ფავორიტია, მეორე ადგილისთვის ბრძოლაში კი კარი ღიაა. ამიტომაც, ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

ცხადია, საინტერესო იქნება სხვა მწვრთნელთა კომენტარებიც, რომელსაც და დაწვრილებულ შეფასებას ჯგუფსა და მეტოქეებზე დღეს შემოგთავაზებთ.

მანამდე ერთსაც დამატებით, რომ გიბრალტარის გარდა, ყველა მეტოქესთან ნაცნობობა გვაკავშირებს. გერმანია, პოლონეთი, ირლანდია და შოტლანდია სხვადასხვა დროს საქართველოს ნაკრებთან ერთად შესარჩევ ჯგუფში მოხვედრილა. ზოგიერთთან ამხანაგურადაც გვითამაშია.

გერმანიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის იოახიმ ლიოვი თამდაბლობს და მისს აზრით, ევრო-2016 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, დ ჯგუფი თანაბარია. მისი თქმით, როგორც ყოველთვის, გერმანელები პირველი ადგილის დაკავებასა და ფინალურ ეტაპზე პირდაპირ მოხვედრას შეეცდებიან.

– სპორტული კუთხით თუ ვისაუბრებთ, რა თქმა უნდა, საინტერესო ჯგუფია. გერმანია, საქართველო, შოტლანდა, ირლანდია და პოლონეთი. ერთი შეხედვით, საკმაოდ თანაბარი და კარგი ჯგუფია. ზოგიერთი პოლონელი ფეხბურთელი ბუნდესლიგაში გამოდის, ხოლო ირლანდიასთან და შოტლანდიასთან მატჩები ყოველთვის საუცხოო ატმოსფეროში ტარდება. ფავორიტებად ჩვენი დასახელება აუცილებელი არაა, მაგრამ ცხადია, ყველა ასე მიიჩნევს. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, რომ შესარჩევ ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავოთ, რათა დასახული ამოცანა რაც შეიძლება მალე გადავწყვიტოთ და ფინალურ ტურნირზე პირდაპირ მოვხდეთ. შოტლანდია და ირლანდია დიდი თავდადებით, დინამიურად და ჟინით თამაშობენ. ისინი თავისი ქვეყნისთვის ირჯებიან და მაშინაც კი ბოლომდე იბრძვიან, როდესაც 0:2 აგებენ. ისინი არასოდეს ნებდებიან, ისევე როგორც ჩვენი ჯგუფის დანარჩენი გუნდები. ეს მათ მეტოქეებს ამოცანას უძნელებს და ასეთ მოწინააღმდეგეებთან თამაში ყოველთვის ძალიან ინტენსიურია: გამარჯვების მისაღწევად ძალების მაქსიმალური მობილიზებით უნდა ითამაშო. გიბრალტარისა და ამ ნაკრების მოთამაშეების შესახებ ცოტა რამ ვიცი. ეს ნაკრები დებიუტანტია, რომელიც პორტუგალიის ქალაქ ფარუში ითამაშებს. გიბრალტართან დაპირისპირებას დიდი ინტერესით ველოდები.

გორდონ სტრაჩანი, შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელი:

– გერმანია მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრებია და რა თქმა უნდა, უდავო ფავორიტია. ვფიქრობ, მეორე ადგილისთვის ოთხი ნაკრები იბრძოლებს და სავსებით რეალურია, რომ მათ შორის ჩვენც ვიყოთ. რასაც ჩვენ ვფიქრობთ, იგივეს ფიქრობენ ირლანდიელები, პოლონელები და ქართველებიც. ეს საინტერესო ამოცანა იქნება.

ადამ ნავალკა, პოლონეთის ნაკრების მწვრთნელი:

– გერმანია უდავო ფავორიტია, დანარჩენი გუნდების შანსებს კი დაახლოებით თანაბარი ეთქმის. თითქოს ბედის ირონიაა, რომ უახლოესი ამხანაგური მატჩი სწორედ ჯგუფში ჩვენს მეტოქეებთან გვაქვს დაგეგმილი. 5 მარტს შოტლანდიას ვეთამაშებით, ხოლო 13 მაისს გერმანიას. ასევე, შარშან ირლანდიას შევხვდით. უნდა გვჯეროდეს, რომ შანსი გვაქვს. პოლონეთის ნაკრები აქედანვე ემზადება შესარჩევისთვის".

**მარტინ ონილი, ირლანდიის ნაკრების მწვრთნელი:**

– ჯგუფი ძალიან რთულია, თუმცა ძალიან საინტერესოც. შოტლანდიასთან შეხვედრები ძალიან ამაღელვებელი იქნება და ვფიქრობ, გორდონ სტრახანიც ჩემს აზრზეა. ალბათ, უფრო სხვა, ნაკლებად ძლიერ ჯგუფში თამაში გვაწყობდა, მაგრამ რეალობას უნდა შევეგუოთ და ვიბრძოლოთ. გერმანია ჯგუფის ფავორიტია, თუმცა მასაც დიდი ბრძოლები გადახდება. პოზიტიურად თუ მივუდგებით, ისეთი ჯგუფია (გერმანიის გარდა), სადაც გუნდებს ერთმანეთისთვის ქულების დაკარგვა შეუძლიათ. ასე რომ, ბოლომდე ძალზე საინტერესო იქნება. როცა მეხუთე კალათიდან საქართველოს ნაკრები გხვდება, ანუ ყველაზე ძლიერი მეტოქე ამ კალათში, რწმუნდები, რომ წილისყრამ არ გაგიმართლა. მაგრამ მე მაწყობს, რადგან ეს ტონუსს არც ერთ შეხვედრაში არ დაგვაკარგვინებს.



უიმედოდ თვით გიბრალტარის ნაკრების მწვრთნელი ალენ ბულაც არ არის. მან თქვა, რომ ჯგუფიდან გასვლა სურს და ბოლომდე იბრძოლებს შანსის გამოსაყენებლად. ვერ გეტყვით ახალბედა გიბრალტარელებს რა აძლევთ ამის თქმის უფლებას, მაგრამ გეტყვით რომ ბულას გუნდმა აქამდე სუ ლ2 ოფიციალური მატჩი გამართა – სლოვაკებთან 0:0 და ფარერის კუნძულებთან – 1:4.

**მეტოქეები**

**გერმანია**

ჯგუფის უდავო ფავორიტი, რომლის ღირსებებზე და ტიტულებზე საუბარი შორს წაგვიყვანს. საოცარი დამთხვევაა ისიც, რომ გერმანიის ნაკრებს ზუსტად 20 წლის შემდეგ ისევ ვუმასპინძლებსთ – 2015 წლის 29 მარტს. გავიხსენოთ 1995 წელი: არც მანამდე და არც მას შემდეგ, თბილისში არცერთი ნაკრების ჩამოსვლას არ მოჰყოლია იმხელა აჟიოტაჟი – ტრიბუნებზე (კიბეებზე და სადაც კი შეიძლებოდა) 110.000 მაყურებელი იჯდა.

იმ დღეს მთელი საქართველო ოპტიმიზმით იყო სავსე, მაგრამ ყველა იმედი იურგენ კლინსმანმა გადაგვიწურა, რომელმაც პირველივე ტაიმში მოილია საქმე. ის თამაში 0:2 წავაგეთ, მაგრამ იმედი ჯერ კიდევ ჩანდა.

მეორედ გერმანელებს უკვე სტუმრად, ნიურნბერგში ვეთამაშეთ და 28-ე წუთზე თემურ ქეცბაიას ზუსტი დარტყმა და საქართველო დაწინაურდა – 1:0! 11 წუთის განმავლობაში ვუგებდით გრანდს, მაგრამ შემდეგ ყველაფერი გერმანელთა სასარგებლოდ წარიმართა და 4 გოლი გაგვიტანეს.

მომდევნო წელს გერმანია ევროპის ჩემპიონი გახდა და ეს, ჯერჯერობით, მათი ბოლო დიდი ტიტულია.

**საქართველო – გერმანია 0:2**

0:1, 0:2 კლინსმანი (24, 45)

**საქართველო:** დევაძე რევიშვილი, ცხადაძე, შელია, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, კუდინოვი, ჯამარაული (გოგრიჭიანი 64), რ.არველაძე (ყაველაშვილი 77), ქინქლაძე, შ.არველაძე

**გერმანია:** კეპკე, ჰელმერი, კოლერი, ბაბელი, როიტერი, აილტსი, ვებერი (ფროინდი 46), ბასლერი, მიოლერი, კლინსმანი (კაპ), ჰერლიხი

**გერმანია – საქართველო 4:1**

0:1 ქეცბაია (28), 1:1 მიოლერი (39), 2:1 ციგე (57), 3:1 კირსტენი (62), 4:1 ბაბელი (72)

**გერმანია:** კანი, ჰელმერი, კოლერი, ბაბელი, შტრუნცი, ფროინდი, ციგე, ჰესლერი, მიოლერი, კლინსმანი, კირსტენი

**საქართველო:** დევაძე, გუჯაბიძე, შელია, ჩიხრაძე, კუდინოვი, გოგიჩაიშვილი (გ.კილასონია 67), ნემსაძე, ყაველაშვილი (ა.არველაძე 67), ქეცბაია, ქინქლაძე, შ.არველაძე

**პოლონეთი**

1998-ის შესარჩევში პოლონეთი ჩვენი მეტოქე იყო. ერთხელაც ამხანაგურად გავეჯიბრეთ. შესარჩევში მესამე ადგილისთვის ვეჭიდავეთ – 1-2 ინგლისმა და იტალიამ გაინაწილეს. ცოტა დაგვაკლდა გაგვესწრო მეტოქისთვის – 1 ბურთი. პირველი მატჩი კატოვიცეში 1:4 წავაგეთ, შინ 3:0 მოვიგეთ, მაგრამ არ გვეყო პოლონელებზე გასასწრებად.

ამხანაგური მატჩი კი ქეცბაიას მწვრთნელობისას გავმართეთ და იაკუბ ბლაჩიკოვსკის გოლით 0:1 წავაგეთ.

ზემოთ ნახსენები ბლაშჩიკოვსკი, ლევანდოვსკი და პიშჩეკი პოლონელთა მთავარი დამრტყმელი ძალაა – სამივე „დორტმუნდის" ღირსებას იცავს. ამას დაუმატეთ „არსენალის" ძირითადი მეკარე ვოიცეხ შჩესნი. მოკლედ, მეტოქე საკმარისად არის დახუნძლული ფეხბურთელებით, რომლებსაც ევროპაში სიტყვა ეთქმით.

თუმცა, სანაკრებო დონეზე გარკვეული წარმატების მიღწევა მაინც უჭირთ: 1986 წლიდან მოყოლებული, პოლონეთმა მხოლოდ სამჯერ გაიკვლია გზა ფინალურ ეტაპამდე, კერძოდ, 2002 და 2006 წლების წლის მუნდიალზე და 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა. ევრო-2012-ზე კი, თანამასპინძლობის სტატუსით იყო.

მწვრთნელიც ახალი ჰყავთ ადამ ნავალკა, რომელიც ხმაურიანი მიღწევებით ვერ დაიკვეხნის.

**პოლონეთი – საქართველო 4:1**

0:1 შ.არველაძე (24), 1:1 ლედვონი (32), 2:1 ტრჟეჩიაკი (34), 3:1 ბუკალსკი (74პ), 4:1 ნოვაკი (90)

**პოლონეთი:** შამოტულსკი, შკრჟიპეკი, კუკიელკა, კალუჟნი, ლედვონი, მიხალსკი, ნოვაკი, სოკოლოვსკი, ბუკალსკი, დემბინსკი (ადამჩუკი 90), ტრჟეჩიაკი (კუხარსკი 62)

**საქართველო:** ზოიძე, კალაძე, კობიაშვილი (ყაველაშვილი 73), ცხადაძე, ნ.ლობჟანიძე, გოგიჩაიშვილი (კიკნაძე 46), ჯამარაული (ა.არველაძე 46), ნემსაძე, ქეცბაია, ქინქლაძე, შ.არველაძე

**საქართველო – პოლონეთი 3:0**

1:0 ა.არველაძე (55), 2:0 ცხადაძე (70), 3:0 ქეცბაია (75)

**საქართველო:** ტოგონიძე, ნ.ლობჟანიძე, შელია, ცხადაძე, ჩიხრაძე, ნემსაძე, ყაველაშვილი, ქეცბაია (კინკაძე 88), გახოკიძე (ჯამარაული 63), შ.არველაძე, ა.არველაძე (გოგიჩაიშვილი 82)

**პოლონეთი:** კლაკი, იოჟვიაკი, ლაპინსკი, კოზმინსკი, შვიერჩევსკი (ლედვონი 63), ვალდოხი, ბრჟეჩეკი, მაიაკი, ივანი, გილევიჩი (ბუკალსკი 74), იუსკოვიაკი (კუხარსკი 84)

**პოლონეთი – საქართველო 1:0**

1:0 ბლაშჩიკოვსკი (36)

**პოლონეთი:** შჩესნი, ვოიტკოვიაკი, გლოვაცკი, ოდლოვიეცი, ვავრჟინიაკი, ბლაშჩიკოვსკი (რუბუში 90), პოლანსკი (დუდკა 75), მურავსკი (მატუშჩიკი 86), ობრანიაკი (პავლოვსკი 80), მიერზეჟევსკი (პეშკო), ლევანდოვსკი (ბროზეკი 60)

**საქართველო:** ლორია, უ.ლობჟანიძე, ხუბუტია, კალაძე, ამისულაშვილი (გრიგალავა 46), კობიაშვილი (კვირკველია 81), კანკავა (დაუშვილი 73), თარგამაძე, შ.გრიგალაშვილი (კაშია 63), დვალიშვილი (ს.გურული 46), მარცვალაძე (ვაწაძე 63)

**ირლანდია**

ყველაზე არასასიამოვნო მეტოქე საქართველოს ნაკრებისთვის – 5 მატჩი, 5 მარცხი. პირველად ევრო-2004-ის შესარჩევში შევხვდით – შინ 1:2 დავმარცხდით, სტუმრად – 0:2.

ჩვენი გზები მსოფლიოს ჩემპიონატის (2010) შესარჩევშიც გადაიკვეთა და ორივეჯერ 1:2 დავმარცხდით. 2008 წლის სექტემბრის დასაწყისში „საშინაო" მატჩი გერმანულ მაინცში წავაგეთ. მაშინ აგვისტოს ომი ახალი მომხდარი იყო და ირლანდიელებმა თბილისში თამაში არ ისურვეს. ირლანდიაში კი, მსაჯმა „დაგვწვა" – ვიგებდით, შემდეგ მოგონილი პენალტი რომელმაც გაგვტეხა და ისევ 1:2.

ბოლო, მეხუთე დაპირისპირება კი ყველაზე ავად გასახსენებელია. საქართველომ კი კინთან და კომპანიასთან ვერაფერი გააწყო და 0:4 დამარცხდა. ეს ერთადერთი მატჩია თემურ ქეცბაიას ხელმძღვანელობით, რომელიც ნაკრებმა დიდი ანგარიშით წააგო.

ირლანდიის ნაკრებში, როგორც იცით, იტალიელი ჯოვანი ტრაპატონის მუშაობის პერიოდი დასრულდა და იგი ჩრდილოირლანდიელი მარტინ ონილით შეცვალეს.

**საქართველო – ირლანდია 1:2**

0:1 დაფი (18), 1:1 კობიაშვილი (62), 1:2 დოჰერტი (85)

**საქართველო:** ლომაია, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ქეცბაია (დემეტრაძე 46), ქინქლაძე (დიდავა 72), იაშვილი

**ირლანდია:** გივენი, ოში, ბრინი, დოჰერტი, კერი, კანინგემი, კილბეინი, კინსელა, კერსლი, ჰოლანდი, დაფი

ირლანდია – საქართველო 2:0

1:0 დოჰერტი (43), 2:0 რობი კინი (58)

**ირლანდია:** გივენი, ოში, ბრინი, დოჰერტი (დესმონდლი 89), კერი, კანინგემი, ჰილი (კინსელა 86), კილბეინი, კერსლი, ჰოლანდი, რობი კინი

საქართველო: ლომაია, ხიზანიშვილი, ხიზანიშვილი, კალაძე, ამისულაშვილი, დიდავა (ალექსიძე 77), რეხვიაშვილი, ბურდული, ასათიანი, დემეტრაძე (ვ.დარასელია 60), შ.არველაძე

**საქართველო – ირლანდია 1:2**

0:1 დოილი (13), 0:2 უელანი (70), 1:2 ყენია (90)

**საქართველო:** ლორია, უ.ლობჟანიძე, ხიზანიშვილი (ასათიანი 81), კალაძე, შაშიაშვილი, ოდიკაძე, მენთეშაშვილი, კობიაშვილი, ყენია, იაშვილი (მჭედლიძე 78), ალექსიძე (სირაძე 62)

**ირლანდია:** გივენი, ფინენი (მაკშეინი 80), ოში, დანი, რიდი, ჰანტი, უელანი, კილბეინი, მაკგიდი (კოგი 88), დოილი (მილერი 77), რობი კინი

**ირლანდია – საქართველო 2:1**

0:1 იაშვილი (1), 1:1, 2:1 რობი კინი (73პ, 78)

**ირლანდია:** გივენი, ოში, კელი, დანი, კილბეინი, ენდრიუსი, უელანი, მაკგიდი, დაფი (ჰანტი 80), დოილი, რობი კინი

**საქართველო:** ლომაია, უ.ლობჟანიძე, კალაძე, კვირკველია, ხიზანიშვილი, კობიაშვილი, მენთეშაშვილი (ხმალაძე 70), რაზმაძე, იაშვილი, სირაძე (ალექსიძე 77), გოცირიძე (მერებაშვილი 67)

**ირლანდია – საქართველო 4:0**

1:0 კეოგი (42), 2:0 კოქსი (48), 3:0, 4:0 რობი კინი (77,88)

**ირლანდია:** ვესტვუდი, მაკშეინი, კეოგი, დელეინი, უილსონი (დანი 65), კეოგი (რობი კინი 46), მაკართი (სემონი 72), ჰულეჰენი (ქუინი 76), მაკლინი (მაკგიდი 65), ლონგი (ჰენდრიკი 72), კოქსი

**საქართველო:** ლორია, უ.ლობჟანიძე (თარგამაძე 46), ხუბუტია, ხიზანიშვილი, კვირკველია (ფოფხაძე 69), კაშია, დაუშვილი (ძარია 54), კანკავა, ანანიძე (მიგინეიშვილი 22), კობახიძე (გორგიაშვილი 90), გელაშვილი (მაისურაძე 61)

**შოტლანდია**

ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი მეოთხე კალათიდან ჩვენ გვერგო. სქოთებთან 2007 წელს გავმართეთ შესარჩევის ორი მატჩი. გლაზგოში ბოლო წუთზე წვაგეთ – 1:2, თბილისში კი შოტლანდიელებს შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი მოვუსპეთ და 2:0 მოვუგეთ.

მაშინ ნაკრებს კლაუს ტოპმიოლერი წვრთნიდა და სქოთებთან 17 წლის ბიჭებიც ათამაშა: ლევან ყენია, გიორგი მაკარიძე და ლევან მჭედლიძე. პირველი გოლი სწორედ მჭედლიძემ გაიტანა.

სქოთთა ნაკრებს ამ ქვეყნის ნაკრების ყოფილი შემტევი, „აბერდინში", „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „ლიდსში" ნათამაშევი გორდონ სტრაჩანი წვრთნის, რომელიც შარშან დაინიშნა ამ პოსტზე.

**შოტლანდია – საქართველო 2:1**

1:0 ბოიდი (11), 1:1 შ.არველაძე (41), 2:1 ბიტი (89)

**შოტლანდია:** გორდონი, ალექსანდერი, ნეისმიტი, უეირი, მაკმანუსი, ფერგიუსონი, ტილი (ბრაუნი 60), ჰარტლი, მილერი (მელოუნი 90), ბოიდი (ბიტი 76), მაკკალოჰი

**საქართველო:** ლომაია, ცქიტიშვილი (მუჯირი 90), კობიაშვილი, შ.არველაძე, ხიზანიშვილი, მენთეშაშვილი (გოგუა 46), სალუქვაძე, ელიავა, დემეტრაძე, შაშიაშვილი, ბურდული (სირაძე 57)

**საქართველო – შოტლანდია 2:0**

1:0 ჭედლიძე (16), 2:0 სირაძე (62)

**საქართველო:** მაკარიძე, სალუქვაძე, შაშიაშვილი, ასათიანი, ხიზანიშვილი, კვირკველია, კანკავა, მენთეშაშვილი, ყენია (კანდელაკი 80), მჭედლიძე (კვახაძე 85), სირაძე (ჯაკობია 90)

**შოტლანდია:** გორდონი, მარტი, ალექსანდერი, მაკმანუსი, უეირი, ფერგიუსონი, ფლეტჩერი, პერსონი (ბოიდი 66), მილერი (ბიტი 72), მელოუნი, მაკფადენი

გიბრალტარზე უკვე გითხარით ამ პატარა ქვეყნის ნაკრებმა ახლა მიიღო ადგილი ფიფა-უეფაში. გიბრალტარი პირინეის ნახევარკუნძულის სამხრეთშია და სულ 28.000 მაცხოვრებელია და სლოვაკებთან მატჩში ფეხბურთელებს ტვიტერის საშუალებით აგროვებდნენ.

ფიფას რეიტინგში გერმანია მე-2 ადგილზეა, შოტლანდია – 34-ე, ირლანდია – 67-ე, პოლონეთი – 70-ე, საქართველო – 103-ე, ხოლო გიბრალტარი – 173-ე.

ევრო-2016-ის შესარჩევი ეტაპზე საქართველოს ნაკრების მატჩების კალენდარი ასეთია:

**07.09.2014 საქართველო-ირლანდია;**
**11.10.2014 შოტლანდია-საქართველო;**
**14.10.2014 გიბრალტარი-საქართველო;**
**14.11.2014 საქართველო-პოლონეთი;**
**29.03.2015 საქართველო-გერმანია;**
**13.06.2015 პოლონეთი-საქართველო;**
**04.09.2015 საქართველო-შოტლანდია;**
**07.09.2015 ირლანდია-საქართველო;**
**08.10.2015 საქართველო-გიბრალტარი;**
**11.10.2015 გერმანია-საქართველო.**

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ლევან ანჯაფარიძე: „გადადგეს მანანა ბერიკაშვილი!“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მებზე და ლობისტებზეა საუბარი. ნანა ჯანელიძემ „მოახერხა“ და ისეთი კანონდარღვევებით ჩაატარა კონკურსები, რომ ჯერ კულტურის სამინისტრომ გაბედა და განაცხადა: „სსიპ კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრში 2013 წელს ჩატარებული კონკურსები მიიჩნევა მიკერძოების პრინციპის დარღვევით ჩატარებულად“, ამ განცხადების გაკეთების შემდეგ მინისტრთან შევარდნენ თმაგაწეწილი ქალები და თმაგაწეწილი თუ გაუწეწავი კაცები და კინაღამ თავზე დაახიეს ეს განცხადება. მაშინ ძალიან დიდი უფხოობა გამოიჩინა კულტურის მინისტრმა, იმიტომ რომ მის მაგივრად კაცი რომ ყოფილიყო იქ ვინმე, იქით გადაახევდა ამ გარეწრებს ამ დასკვნას, ხოლო შემდეგ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დადო დასკვნა, სადაც წერია: „2013 წლის პირველ 6 თვეში – 2012 წელთან შედარებით 180%-ით არის გაზრდილი კომისიის წევრთა პროექტების დაფინანსება“, ამაზე მეტი აღარ არსებობს დარღვევა. 180 პროცენტით არის გაზრდილი ნიშნავს იმას, რომ კომსიის წევრი თუ ხარ, შეგიძლია წარადგინო შენი პროექტი და ძალიან დიდი ალბათობით, 10-დან 9-ით, შეგიძლია მიიღო დაფინანსება. აქ არის საუბარი სახელმწიფო სუფსიდიებზე და ამდენი ხანია ესენი ხრავენ სახელმწიფო სუფსიდიებს. ესენი მიჩვეული იყვნენ, რომ მშვენივრად გრძნობდნენ თავს, მშვენივრად იღებდნენ ხელფასებს, პრემიებს დაუმსახურებელს, თორემ ვინც დამსახურებულად იღებს, ყველას ღმერთმა შეარგოს ყველაფერი. დადიოდნენ ფესტივალებზე, აკეთებდნენ ყველაფერს, რაც სურდათ და როგორც სურდათ, უცბად გამოჩნდა ლევან ანჯაფარიძე, რომელიც ცდილობს გამოგლიჯოს ეს ყველაფერი მათ ხელიდან, რადგან ეს მათი საკუთრება არ არის და გამოვგლიჯავთ კიდეც. ახლა წარმოიდგინეთ, რა ხდება მათ გულებში და როგორ გაერთიანდნენ ეს შავი ვირთხები ერთმანეთის გულისთვის.

***– ამ ბრალდებებს რის საფუძველზე აყენებთ?***

– უამრავი დარღვევების საფუძველზე. სახელმწიფო აუდიტი წერს, რომ „აღნიშნული გარემოება საფრთხეს უქმნის საექსპერტო კომისიის ინტერესთა შეუთავსებლობის, დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის პრინციპებსა და აღქმადობას“. ასევე გამოვლინდა სხვა სახის სერიოზული დარღვევები, კერძოდ: საექსპერტო კომისიის დაკომპლექტების გაუმჭვირვალე პირობები, საექსპერტო კომისიის წევრთა კეთილსინდისიერებისა და მიუკერძოებლობის არასაკმარისი აღქმადობა, საკონკურსო პროექტების შეფასების არასაკმარისი კრიტერიუმები, კონკურსში გამარჯვებული პროექტების ანგარიშვალდებულებების სისუსტე და სხვა. ეს რომ ნორმალური ქვეყანა იყოს, ეს კონკურსი უკვე გაუქმებული უნდა იყოს. განსაკუთრებით აღსანიშნავია კონკურსში გამარჯვებული პროექტების ანგარიშვალდებულებების სისუსტე, აქ საუბარია იმაზე, რომ როცა კონკურსში იმარჯვებს პროექტი, ამ პროექტის ავტორსა და კინოცენტრს შორის იდება ვალდებულება როდის უნდა დამთავრდეს ფილმი, რამდენი უნდა მიიღოს კინოცენტრისგან, ეს ყველაფერი მიშვებულია ნოლზე და სწორედ აქ არის კორუფციული გარიგებები, როცა გამარჯვებული პროექტები დამატებით მრავალჯერ ფინანსდებიან როგორც კინოცენტრისგან, ასევე კულტურის სამინისტროსგან. არსებობს ვინმე ქალბატონი იამზე გვათუა, მას პირადად არ ვიცნობ, ძალიან ხშირად ფიგურირებს მისი ხელმოწერა მოთხოვნებზე, რომ ამ პროექტის ავტორს არ ყოფნის ფული და დაუმატეთ ფინანსები. ხშირად ლაპარაკია 200 ათასზე, ხან 250 ათასზე. 250 ათასი მათთვის არაფერ თანხას არ წარმოადგენს, ეს მათთვის კაპიკებია და წარმოიდგინეთ, როგორ არიან, რა დღეში არიან, რომ რპმენაირად შეინარჩუნონ ეს პოზიციები, მაგრამ ვერანაირად ვერ შეინარჩუნებენ.

გარდა ამისა, კინოცენტრში გამოვლენილია რიგი ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც პროკურატურის ქვემდებარეა: კონკურსში იმარჯვებს ერთი სუბიექტი, დაფინანსებას კი კინოცენტრი სულ სხვა საპროდიუსერო კომპანიას აძლევს. აქ არის ლაპარაკი პროექტებზე, რომელმაც გაიმარჯვა, მაგრამ პროექტის ფული გადაეცა სხვა მონაწილე სუბიექტს, საპროდიუსერო კომპანიას, რომელიც კონკურსის ჩატარების დროს ბუნებაშიც არ არსებობდა და შემდეგ ჩამოყალიბდა. ეს არის კრიმინალი და მათ პასუხი უნდა აგონ ამაზე. გარდა ამისა, საექსპერტო კომისიის წევრები უშუალოდ აფასებენ საკუთარ პროექტებს და გამსვლელ ქულებს უწერენ. გვაქვს ფაქტები იმისა, რომ ბუბა ხოტივარი და ზურაბ ინაშვილი, ორივე არიან გამგეგობის წევრები და თვითონ აფინანსებენ და გამსვლელ ქულებს უწერენ თავისივე მფლობელობაში მყოფ საპროდიუსერო კომპანია „სინეტეკს“. ეს არის უხერხული და დანაშაულებრივი ქმედება. პროექტი სახელმწიფო ფულით ფინანსდება, კინოცენტრი კი ამ „ექსპერტებს“ შრომით ანაზღაურებას უხდის. მიუხედავად ამდენი დარღვევებისა, კულტურის სამინისტრო შეგნებულად დუმს და ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით ნანა ჯანელიძის ლობისტებს – მანანა ბერიკაშვილს და პარლამენტარ ირაკლი ტრიპოლსკის. სამწუხაროდ, ირაკლი ტრიპოლსკის ხელი არა მარტო კინოცენტრს ეტყობა, ის ეტყობა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტსაც, ქართულ ფილმსაც, სამაუწყებლო ტელევიზიასაც, ყველგან ფიგურირებს ამ კაცის სახელი და გვარი. მინდა მეგობრულად მოვუწოდო პარლამენტარ ირაკლი ტრიპოლსკის, რომ გაერკვეს არსებული საქმის ვითარებაში და დადგეს სიმართლის მხარეს, ეს ჩემი თხოვნა იქნება მის მიმართ თუ არადა, მერე უკვე სიმართლე თავად დაადგენს, რატომ არ დგას ირაკლი ტრიპოლსკი სიმართლის მხარეს.

***– რას ითხოვთ?***

– მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გადადგეს კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი, შეიძლება გაგიკვირდეთ რატომ არა კულტურის მინისტრი. ამ შემთხვევაში მინისტრის მოადგილე ასრულებს მთლიანად სამუშაოს. დღეს საქართველოს კულტურის მინისტრი გახლავთ მანანა ბერიკაშვილი, ეს ფაქტია და ყველამ იცის, უბრალოდ ამის აღიარებას ერიდებიან, ასევე სასწრაფოდ შევიდეს პროკურატურა კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრსა და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, რათა დაუყოვნებლივ გამოიძიოს არსებული კრიმინალური ფაქტები! სასწრაფოდ, გათავისუფლდეს ნანა ჯანელიძე დაკავებული თანამდებობიდან! ასევე შევიდეს პროკურატურა კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრსა და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, რათა დაუყოვნებლივ გამოიძიოს არსებული კრიმინალური ფაქტები! სასწრაფოდ, შეუჩერდეს უფლებამოსილება თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორს გოგი მარგველაშვილს! ასევე მოვუწოდებთ პარლამენტარებს ირაკლი ტრიპოლსკის და ნუკრი ქანთარიას გაერკვნენ არსებული საქმის ვითარებაში და დადგნენ სიმართლის მხარეს!

**ეკა ირემაშვილი**

# „ერისიონმა“ მოსკოვში კონცერტი გააუქმა?

**ეკა ირემაშვილი**

სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა „ერისიონმა“ 16 აპრილს მოსკოვში დაგეგმილი კონცერტი გააუქმა. როგორც „ახალ თაობას“ „ერისიონის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა ლელა წიკლაურმა განუცხადა, ორიოდე დღეში გაკეთდება ოფიციალური განცხადება ანსამბლის ხელმძღვანელის ჯემალ ჭკუასელის მხრიდან. „ერისიონს“ კონცერტი რუსეთის დედაქალაქში მხოლოდ ერთი დღით უნდა გაემართა „რუსეთში ქართველთა კავშირის“ მხარდაჭერით. ღონისძიებაზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა უკვე მიმდინარეობდა. ამჟამადაც რუსულ საიტებზე „ერისიონის“ კონცერტის აფიშა ისევ ედვს. კონცერტი ანსამბლმა შარშანაც გამართა მოსკოვის კრემლის დარბაზში, რამაც ქართველების გულისწყრომა გამოიწვია და „ერისიონს“ „კრემლისიონიც“ შეარქვეს.




ინტერნეტში კი გავრცელდა პეტიცია სახელწოდებით „მოეხსნას „ერისიონს“ სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი და დაფინანსება“. ამ პეტიციით მოქალაქეები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტს მიმართავენ:

„16 აპრილს კრემლში დაგეგმილია ერისიონის კონცერტი, ბილეთები უკვე იყიდება. გვსურს, მოვუწოდოთ საქართველოს პარლამენტს და კულტურის სამინისტროს, მოუხსნათ ანსამბლ „ერისიონს“ სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი და შეუწყვიტოთ დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. რადგან ჩვენთვის, რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს მოქალაქეებისთვის არის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი, ჩვენი გადახდილი გადასახადებით შევსებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები ხმარდებოდეს ერისიონის კრემლში გასტროლებს.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში საოკუპაციო ძალების ქმედებების შედეგად, დე ფაქტო საზღვრის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე წვდომისა და სასმელ-სარწყავი წყლის გარეშე აღმოჩნდა. აღნიშნული ქმედებით რუსეთის ხელისუფლება ცდილობს, კონფლიქტის ზონასთან ახლოს მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროებას და საკუთარი სოფლებიდან განდევნას, ავლებს მავთულხლართებს და აგრძელებს საქართველოს ანექსიას, ჩვენ მიგვაჩნია, რომ გაუმართლებელია ჩვენი ქვეყნის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონი“, პუტინს და მის გარემოცვასართობდეს კრემლში და ამაში საქართველოს მოქალაქეები ვიხდიდეთ ფულს ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტიდან.

იმედს ვიტოვებთ, გაიზიარებთ ჩვენს პოზიციას და შემოუერთდებით პეტიციას, რომელიც გაეგზავნება კულტურის სამინისტროს და საქართველოს პარლამენტს“, – აღნიშნულია პეტიციაში.

**ლელა წიკლაური, „ერისიონის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი:**

– პეტიცია არაფერ შუაში არ არის, ის გაბოროტებული ხალხი, ვინც პეტიციას მოაწერა ხელი, თვლის, რომ ზეწოლა მოახდინა ერთგვარი, თუმცა ჩვენ გვაქვს ჩვენი დოკუმენტები, რომლებიც რამდენიმე დღით ადრე გავაგზავნეთ, მაგრამ ჯერ პასუხი არ მიგვიღია. გარკვეული პროცედურებია ჩასატარებელი. როგორც ჩანს, პოლიტიკური ძალაა თუ ვინც დგას ამ პეტიციის უკან, იყენებს თავისი ქულების დასაწერად ყოველთვის ასეთ შემთხვევებს. მერწმუნეთ, პეტიციამდე ფიქრობდა ანსამბლი ამ ყველაფერზე, თუმცაღა გარკვეული პროცედურები არის გასავლელი, რაც ძალიან რთული პროცედურებია. საპროდიუსერო კომპანიებს შორის შეთანხმება ძალიან ადრე მოხდა. ორ დღეში „ერისიონი“ ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს, ჯერჯერობით ცნობილი არაფერია, სავარაუდოდ არ წავა ანსამბლი მოსკოვში, მაგრამ ოფიციალური კომენტარი კონცერტის ჩაშლის შესახებ ნაადრევად მიმაჩნია.

***– რამდენი ხნით ადრე დაიგეგმა ეს გასტროლი?***

– ერთი წლით ადრე დაიგეგმა დაახლოებით ეს გასტროლი, ერთი წლით ადრე კი ვინ მოიფიქრებდა რა მოხდებოდა.

***– კონტრაქტის დარღვევის გამო საჯარიმო სანქციები გემუქრებათ?***

– რა თქმა უნდა. თუმცა ჯერჯერობით ოფიციალურ კომენტარს ამ საკითხთან დაკავშირებით, რამდენი იქნება ჯარიმა და როგორ იქნება, ვერ გავაკეთებთ. პროცედურებს გავივლით და ყველაფერი მათი დასრულების შემდეგ გამოვლინდება.

# პუტინი ნობელის პრემიის კანდიდატია

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მშვიდობის დარგში 2014 წლის ნობელის პრემიაზე წარდგენილ კანდიდატთა შორისაა ნომინირებული. ინფორმაციას ამის შესახებ „როიტერი“ ავრცელებს.

ამასთან, როგორც „როიტერი“ აღნიშნავს, უკრაინაში არსებული კონფლიქტი სავარაუდოდ ნობელის პრემიის დღის წესრიგში დადგება.



ნორვეგიის ნობელის ინსტიტუტის დირექტორის, გეირ ლუნდესტადის განცხადებით, მიმდინარე წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე რეკორდული რაოდენობის – 278 კანდიდატია წარდგენილი, მათ შორის – 47 ორგანიზაცია.

ამასთან, მშვიდობის დარგში 2014 წლის ნობელის პრემიის კანდიდატთა შორის დასახელებული არიან აშშ-ის დაზვერვის ყოფილი კონტრაქტორი ედვარდ სნოუდენი, პაკისტანელი აქტივისტი და უფლებადამცველი, 16 წლის მალალა იუსუფზაი და რომის პაპი ფრანცისკი.

ამასთან, გუშინ გამართულ სხდომაზე კომიტეტმა კანდიდატთა სია შეამცირა, აპრილის ბოლოსთვის კი ამ ნუსხას 10 კანდიდატამდე დაიყვანენ.

2014 წლის ნობელის პრემიის გამარჯვებული ოქტომბერში გამოვლინდება.

ნობელის პრემია ყოველწლიური საერთაშორისო პრემიაა, რომელსაც სახელი ეწოდება მისი დამაარსებლის, შვედი ინჟინრის, ქიმიკოსის, გამომგონებლისა და მრეწველის, ალფრედ ბ. ნობელის პატივსაცემად.

ნობელის პრემიის მინიჭება 1901 წელს დაიწყო.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# მიხეილ კობახიძის ფილმები ჯაკარტაში აჩვენეს

ცნობილი ქართველი რეჟისორის მიხეილ კობახიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმები ინდონეზიის ქალაქ ჯაკარტაში აჩვენეს. ფილმების ჩვენება კაცილის თეატრის ხელოვნების ცენტრში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით დაიგეგმა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

ღონისძიებას ინდონეზიაში აკრედიტებული დიპლომატები და ინდონეზიელი კინოხელოვანები, მათ შორის ახალგაზრდა რეჟისორები დაესწრნენ. შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ინდონეზიაში ზურაბ ალექსიძემ. ელჩმა ქართული კინემატოგრაფიის ისტორიაზე, რეგიონში მის მნიშვნელობაზე, ქართული კინოს განვითარების აუცილებლობასა და მსოფლიო ბაზარზე ქართული კინოხელოვნების პერსპექტივებზე ისაუბრა.

კინოჩვენების ფარგლებში გაიმართა ქართული ბატიკის გამოფენაც. ღონისძიების დასრულების შემდეგ კი ინდონეზიაში საქართველოს საელჩომ სტუმრებს საშუალება მისცა ქართული ღვინო და ტრადიციული ტკბილეული დაეგემოვნებინათ.

**ეკა ირემაშვილი**

# თავისუფალი თეატრი ფოთში მიიწვიეს

რეჟისორ ავთანდილ ვარსიმაშვილის მიერ დაარსებული თავისუფალი თეატრი ფოთში მიიწვიეს. 6 მარტს ფოთის თეატრის სცენაზე თბილისის თავისუფალი თეატრი საგასტროლო პროგრამით ითამაშებს ალდო ნიკოლაის პიესას „რკინის ბიჭები“.

წარმოდგენის რეჟისორია კოტე აბაშიძე, მხატვარი მაია სხირტლაძე, მუსიკალური გამფორმებელი ლეონ მანველი. სპექტაკლში სულ სამი მსახიობი მონაწილეობს ვანო იანტბელიძე, გია აბესალაშვილი და სოფო გურგენიძე. თავდაპირველად ეს სპექტაკლი კინომსახიობთა თეატრში თამაშდებოდა, მოგვიანებით კი ავთანდილ ვარსიმაშვილმა კოტე აბაშიძე თავისი წარმოდგენით თავისუფალ თეატრში მიიწვია.

**ეკა ირემაშვილი**

## hჳჯცღჯჳლბ

**შვეულად:** 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ამერიკელი გოლფისტი მამაკაცი; 2. პატარა სასაუზმე საფრანგეთში; 4. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 5. მდინარე კიევში; 6. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 7. კინოცენტრი იტალიაში; 10. ცვალებადი მიმართულების სუსტი ქარი ზღვის სანაპიროზე; 12. ინდოეთში გავრცელებული ნიანგი; 13. სამკურნალო დაწესებულება; 16. ეგვიპტის ერთ-ერთი ფარაონი; 17. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 18. ინფექციური დაავადების გამომწვევი მიკრობი; 19. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 21. დადუღებული ყურძნის წვენი.

**თარაზულად:** 3. გულისცემა; 8. ძალზე მტკიცე მინერალი; 9. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 11. მონარქიული სახელმწიფო კუნძულ კალიმანტანზე; 12. ეთერზეთოვანი სუბტროპიკული დეკორატიული მცენარე; 14. მოკლე წარწერა გერბზე, ჰერალდიკაში; 15. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული ფირმა; 20. ქართველი კომპოზიტორი; 22. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 23. გემის წყალქვეშა ნაწილების სარემონტო ნაგებობა; 24. ქალაქ ტუაფსეს ძველბერძნული სახელწოდება; 25. გაწყალებული ღვინო; 26. ფულის სარგებლით გამსესხებელი, მევახშე; 27. მდინარე პოლონეთში.



შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმღც.ყც,ეჯბ hჳჯცღჯჳლც,ბც გფცე[ც,ბ5

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. გლისადა; 2. რვალი; 3. იუკატანი; 4. ფულემი; 5. მთავარი; 6. ვისკოზა; 11. კიქსი; 13. პრომეთე; 14. პარანგონი; 15. კონტრალტო; 17. ეკლერი; 18. მირაჟი; 19. მოლა.

**თარაზულად**: 7. ალიევი; 8. მუჯურეთული; 9. ასკილი; 10. საფერავი; 12. შამპინიონი; 14. პლისკა; 16. აერობუსი; 18. მარიჯანი; 20. კრონა; 21. არა; 22. პანთეონი; 23. ხული; 24. ბატალიონი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ჩელსი; 2. ინდიგო; 4. ტოსტერი; 5. ტაბორი; 6. რენტგენი; 7. მიუზიკლი; 10. შკოდა; 12. ფერხისა; 13. მენზულა; 16. ჰიმენე; 17. მანდილი; 18. კასიკი; 19. ბაწარა.

**თარაზულად**; 3. ბენეტონი; 8. მელასა; 9. სეიდებადი; 11. კრუიზი; 12. ფაკირი; 14. ნერუდა; 15. სტენდალი; 20. სოკარი; 22. სუმატრა; 23. ქადა; 24. ტრაპეცია; 25. ჯაკო; 26. შულერი; 27. მარსი.

# ჯონ ქერის ვიზიტი კიევში

**„მსურს რუსეთის პრეზიდენტს შევახსენო, რომ ახლა 21–ე საუკუნეა, — აცხადებს აშშ–ს სახელმწიფო მდივანი“**

— პუტინის არგუმენტები, თითქოს უკრაინაში რუსულენოვანი მოქალაქეების უფლებები ირღვევა, უბრალოდ, სასაცილოა! რუსეთის პრეზიდენტის სიტყვები ცივი ომის დროინდელ რიტორიკას მაგონებს, — განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ.

4 მარტს კიევში აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი ჩავიდა. ეს იმის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა, რომ დასავლეთმა უკრაინა არ მიატოვა.

### პროვოკაციები ჩაიშალა

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ვიზიტმა კრემლი გააღიზიანა, თუმცა რუსეთის პირველმა პირებმა ხმამაღალი განცხადებების გაკეთება ვერ გაბედეს. წინა პლანზე, როგორც ყოველთვის, ჟირინოვსკი გამოვიდა:

— ვაშინგტონის პოზიცია ცალმხრივია! კიევში ჩასული ქერი ამაში თვალნათლივ დარწმუნდება, — განაცხადა ვლადიმერ ვოლფოვიჩმა.

ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ 4 მარტისათვის უკრაინაში ახალი პროვოკაციები მოხდებოდა. მართლაც, ხარკოვში სეპარატისტების ჯგუფმა (200 კაცის ოდენობით) ადგილობრივი საოლქო ადმინისტრაციის შენობის დაკავება სცადა. მილიციამ ამისი საშუალება არ მისცა.

— დემონსტრაცია მცირერიცხოვანი იყო, ამიტომაც შეტაკების თავიდან აცილება მოხერხდა. მილიციამ მანიფესტანტები აიძულა უკან დაეხიათ, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

იმავე დღეს ხარკოვის ქუჩებში უკრაინელი პატრიოტები გამოვიდნენ. მათი რიცხვი 10000 კაცს აღწევდა. მანიფესტანტებს ხელთ უკრაინული დროშები ეჭირათ და სკანდირებდნენ: არ გვინდა ომი! არა სეპარატიზმს! ხელები შორს ჩვენი ქვეყნიდან! და ა.შ.

— ხარკოვში რუსული პროვოკაცია ჩაიშალა! ცხადლივ გამოჩნდა, რომ პრორუსულ პოზიცაზე, მართალია ძალზე აგრესიული, მაგრამ მცირერიცხოვანი ჯგუფი დგას, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

4 მარტს პატრიოტები დონეცკის ქუჩებშიც გამოვიდნენ. ისინი მივიდნენ საოლქო ადმინისტრაციის შენობასთან, რომელიც წინა დღეს სეპარატისტებმა დაიკავეს. პატრიოტებს ხელთ უკრაინული დროშები ეპყრათ და სკანდირებდნენ:

„არა სეპატრატიზმს! გაუმარჯოს ერთიან უკრაინას!“

პატრიოტების აქცია ბევრად მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე სეპარატისტებისა. ცხადლივ წარმოჩინდა, რომ ანტიუკრაინული აქციები რუსული სპეცსამსახურების მიერ იმართებოდა და მასში რსფსრ-დან ჩამოსული მოქალაქეები მონაწილეობდნენ.

4 მარტმა ყირიმში შედარებით მშვიდად ჩაიარა. გაზეთ „უკრაინსკი ფლოტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა უკრაინელი სამხედრო მეზღვაურების ღია მიმართვა, რომელიც რუსეთის ტელევიზიას სიცრუეში ადანაშაულებდა.

— რუსი ჟურნალისტები ამტკიცებენ, თითქოს ჩვენ რუსეთის მხარეს გადავედით. ეს სიცრუეა! რუსების მხარეს მხოლოდ ჩვენი ყოფილი მეთაური ბერეზოვსკი გადავიდა. სხვები უკრაინის ერთგულნი დავრჩით. არც ერთ უკრაინულ ხომალდს რუსული დროშა არ აღუმართავს!

მიუხედავად ამისა, რუსეთის ტელევიზიამ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს უკრაინული ფლოტის ფლაგმანმა „ჰეტმანმა საგაიდაჩნიმ“ რუსული დროშა აღმართა. 4 მარტს „საგადიდაჩნი“ ოდესის პორტში შევიდა. ხომალდზე უკრაინული დროშა ფრიალებდა, რაც ტელეკამერებმაც დააფიქსირეს. ასევე გაბათილდა ცნობა, თითქოს ყირიმში დისლოცირებული უკრაინელი მფრინავები ე.წ. „ყირიმის ხელისუფლების“ მხარეს გადავიდნენ.

— მოსკოვი ცდილობს საქმე იმდაგვარად წარმოაჩინოს, თითქოს უკრაინაში ე.წ. „ორი ერი“, „ორი ცივილიზაციაა“. ერთი დასავლეთისაკენ მიისწრაფის, მეორე რუსეთისაკენ. ამერიკელი სტუმარი ამაში თვალნათლივ უნდა დარწმუნებულიყო, ამიტომ ჯონ ქერის ჩამოსვლასთან დაკავშირებით პროვოკაციები იგეგმებოდა, — წერს პოლიტოლოგი ვადიმ კარასიოვი.

პროვოკაციები ჩაიშალა. უკრაინაში შიდა კონფლიქტი არ არსებობს, არის რუსული აგრესიის პრობლემა და ეს კიდევ ერთხელ წარმოჩინდა.



### ჯონ ქერი: კონფლიქტი მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს!

კიევში ჩასული ქერი უკრაინის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელ ტურჩინოვს, აგრეთვე პრემიერ იაცენიუკს შეხვდა. ამერიკელმა სტუმარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთთან კონფლიქტი მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს.

— ჩვენი ამოცანაა შეიარაღებული კონფრონტაცია ავიცილოთ, — განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა.

ქერიმ აღნიშნა, რომ ვაშინგტონი უკრაინას აუცილებელ პოლიტიკურ და ფინანსურ დახმარებას აღმოუჩენს.

— ჩვენ მზადა ვართ გამოვყოთ 1 მილიარდი დოლარი, — თქვა სახელმწიფო მდივანმა.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აშშ-ს კონგრესი ამ თანხას კიდევ უფრო გაზრდის. ქერიმ გამოთქვა მზადყოფნა, რათა უკრაინის ახალ ხელისუფლებას სავალუტო ფონდთან ურთიერთობის აღდგენაში დაეხმაროს.

— უკრაინაში დღეს მძიმე ეკონომიკური ვითარებაა. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ეს რაც შეიძლება მალე გამოსწორდეს, — განაცხადა ქერიმ ჟურნალისტებთან საუბარში.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ უკვე მომავალ კვირას კიევში ამერიკელი ექსპერტები ჩამოვლენ. მათი ამოცანაა უკრაინელებს დაეხმარონ წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიერ უკანონოდ მითვისებული და საზღვარგარეთ გატანილი თანხების დაბრუნებაში. რუსეთის საკითხს ქერიმ უდიდესი ყურადღება დაუთმო.

— პუტინის არგუმენტები არადამაჯერებელია! მსურს რუსეთის პრეზიდენტს შევახსენო, რომ ახლა 21-ე საუკუნეა და ამგვარი მოქმედება მიუღებელია, — განაცხადა ქერიმ.

ამერიკელმა სტუმარმა აღნიშნა, რომ თუკი მოსკოვი აგრესიას არ შეწყვეტს, მის მიმართ ეკონომიკური სანქციები დაწესდება. „რუსეთი სრულ პოლიტიკურ იზოლაციაში მოექცევა, — განაცხადა ქერიმ.

ამავე დროს ამერიკელმა სტუმარმა უკრაინელებს მოუწოდა, რომ ძალადობისაგან თავი შეიკავონ.

— თქვენ წინააღმდეგ პროვოკაციები ხორციელდება და მომავალშიც განხორციელება, ამას არ უნდა წამოეგოთ, — თქვა ქერიმ.

### რას მოუტანს უკრაინას ჯონ ქერის ვიზიტი

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კიევში ვიზიტი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ დასავლეთი უკრაინის მიტოვებას არ აპირებს. ეს დაეხმარება ქვეყანას როგორც რუსული აგრესიის განეიტრალებაში, ასევე აუცილებელი ეკონომიკური რეფორმების გატარებაში. დღეს ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა გააჩნია, რადგანაც ხაზინა ცარიელია.

— ერთი თვის შემდეგ შეწყდება ხელფასების, პენსიების გაცემა! დამუხრუჭდება ყველა სოციალური პროგრამა, — იტყობინება ბი-ბი-სი.

დასავლეთის დახმარების შედეგად ეს აღარ მოხდება. პენსიების და ხელფასების გაცემა არ შეფერხდება. მეტიც, აშშ-ს წყალობით უკრაინამ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან დიალოგი განაახლა, აშშ-მ მიაღწია იმას, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი უკრაინას რუსული ვალების დაფარვაში დაეხმარება.

— ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რათა უკრაინის მოსახლეობამ რაც შეიძლება მალე იგრძნოს შვება, — განაცხადა კიევში ჩასულმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელმა გეორგიევმა.

აშშ-მ მიაღწია იმას, რომ ევროკავშირი დათანხმდა უკრაინისათვის 11 მილიარდი დოლარი გამოეყო. როგორც ცნობილია, ევროპა მხოლოდ 5 მილიარდზე იყო თანახმა. აშშ-ს დახმარებას რუსეთის აგრესიის განეიტრალებაშიც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. პრეზიდენტმა ობამამ არაერთხელ აღნიშნა, რომ თუკი რუსეთმა უკრაინის მიმართ აგრესია არ შეწყვიტა, მას ეს ძალზე ძვირი დაუჯდება. რუსეთის წინააღმდეგ დაწესდება სანქციები, „დააპატიმრებენ“ რუსი მაღალჩინოსნების ანგარიშებს, რომლებიც დასავლეთის ბანკებშია.

— თანამედროვე რუსეთის ეკონომიკა დასავლურთან მჭიდროდაა გადაბმული. სანქციების შემოღება მართლაც უმძიმესი დარტყმა იქნება. ამას გარდა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუს მაღალჩინოსნებს ანგარიშები დასავლურ ბანკებში აქვთ, — განაცხადა კონსტანტინე ბოროვოიმ.

აშშ-ს დახმარება მნიშვნელოვნად განაპირობებს ევროკავშირის პოზიციასაც. ეს ეხება როგორც ინგლისს და საფრანგეთს, ასევე გერმანიასაც.

— ალიანსზე რუსეთი-გერმანია კრემლში უდიდეს იმედებს ამყარებდნენ. მისი ჩაშლა მოსკოვის სერიოზული დიპლომატიური მარცხი იქნება, — თვლის ბოროვოი.

საერთაშორისო იზოლაციაში მოქცეული რუსეთი იძულებული გახდება გარკვეულწილად უკან დაიხიოს. ამრიგად, ამ ეტაპზე უკრაინა ომსაც აიცილებს და ტერიტორიულ მთლიანობასაც შეინარჩუნებს.

უდიდესი მიღწევაა ის, რომ რუსეთთან კონფლიქტის მოგვარებაში აშშ ჩაერთო, — თვლის ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

**ნიკა თევზაძე**

# სინგაპური მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ქალაქია

ჟურნალ „ეკონომისტის“ კვლევის მიხედვით, 2014 წლის მონაცემებით, სინგაპური მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ქალაქია.

სინგაპურმა ტოკიოს გაუსწრო და ლიდერობა ჩამოართვა, ხოლო მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებულ ქალაქების ხუთეულში მოხვდნენ: პარიზი, ოსლო, ციურიხი და სიდნეი. ტოკიო მეცხრე ადგილზე აღმოჩნდა.

აქვე გთავაზობთ 20 საინტერესო ფაქტს სინგაპურის შესახებ:

1. სინგაპურის მოსახლეობა 6 მილიონს შეადგენს. ის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პატარა სახელმწიფოა. მისი სიმბოლოა ქანდაკება, რომელსაც თევზის ტანი და ლომის თავი აქვს.

2. სინგაპური მცირე დროში ჭაობიანი მიყრუებული კუნძულიდან გარდაიქმნა ერთ-ერთ წამყვან პირველი კლასის ქვეყანად. ამ რეგიონში უამრავი კორპორაციაა საკუთარი ტექნიკური ცენტრებით, ბიოსამედიცინო აღჭურვილობებით და ა.შ.

3. სინგაპურში 4 ოფიციალური ენაა: ინგლისური, მანდარინი (ჩინური დიალექტი, ჩინეთის ოფიციალური ენა), მალაიზიური და თამილი. ენების ამგვარი სიმრავლე, ქვეყნის ეთნიკურ მრავალფეროვნებას ასახავს.

4. უმეტესობა სინგაპურში ინგლისურად საუბრობს. დამწყებ კლასებში მოსწავლეები განათლებას ინგლისურ ენაზე ღებულობენ. არის კლასები მათთვისაც, ვისი მშობლიური ენაც მაგალითად ჩინურია, და ამ კლასებში ყველაფერი ჩინურად ისწავლება.



5. სინგაპურელების უმეტესი ნაწილი ამატებს „ლა“-ს წინადადების ბოლოს. მაგალითად: „ოქეი-ლა“.

6. სინგაპური უაღრესად მწვანე ქალაქია ბაღებით, ხეებით და ტყეებით. დღევანდელი სახელწიფო პროგრამის მიხედვით, ეს სინგაპურს „ბაღებში ჩაფლულ ქალაქად“ აქცევს. ეს ქალაქი ასევე ძალიან სუფთაა გარკვეული წესების გამო.

7. ქვეყანა 85 მილითაა დაშორებული ეკვატორიდან (137 კილომეტრით), ამიტომ ტემპერატურა აქ ყოველთვის მაღალია (თუმცა ტაილანდზე ცხელი არა). მათი სეზონებია ცხელი და მზიანი, და ასევე ცხელი და წვიმიანი. წვიმს ძირითადად ზამთარში და საკმაოდ ძლიერად.

8. ყველაზე დაბალი ტემპერატურა, რაც ოდესმე დაფიქსირებულა სინგაპურში, იყო 20 გრადუსი ცელსიუსით და ისიც 80 წლის წინ.

9. ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად, სინგაპურს 6-ნიშნა საფოსტო ინდექსი გააჩნია.

10. სინგაპურს სხვაგვარად უწოდებენ „ჯარიმების ქალაქს“ იმის გამო, რომ დარღვევებზე დოლარის კურსით ძალიან მაღალი ჯარიმებია. მაგალითად, თქვენ შეიძლება დაჯარიმდეთ საზოგადოებრივი ტუალეტის „არ ჩარეცხვის“ გამო ან უბრალოდ ქუჩაში საღეჭი რეზინის უკულტუროდ და უხეშად ღეჭვის გამო.

11. სახელმწიფოს აქვს საკუთარი სამაჭანკლო განყოფილება, რომელსაც „სოციალ დეველოპმენტ უნიტი“ ჰქვია. მას სხვაგვარად ხალხი ასე უწოდებს— „მარტოსულები, სასოწარკვეთილები და მახინჯები“.

12. მოსახლეობის უმეტესობა, დაახლოებით 85% ცხოვრობს სახელმწიფო საცხოვრებელ დაწესებულებებში და ამათგან 95%-ს აქვს საკუთარი ბინა. სახელმწიფო სახლებში ცხოვრება არ აღიქმება სიღარიბედ და რამდენიმე მათგანი 1 მილიონი დოლარიც კი ღირს.

13. ყველა, ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, დაგიდასტურებთ, რომ ცხოვრების საფასური საკმაოდ ძვირია.

14. ოჯახების უმეტესობა შინამოსამსახურეს ქირაობს. ეს ძირითადად ფილიპინელი ქალია, რომელიც ოჯახის დიასახლისს ეხმარება დალაგებაში და მისი მომსახურება ძვირი არ ღირს.

15. ჩაქოლვა ან გაროზგვა სინგაპურში ერთ-ერთი გავრცელებული სასჯელია. ადამიანი შეიძლება ჯოხით ცემონ ან ქვები დაუშინონ მცირე შეურაცხყოფისთვის, როგორიცაა მაგალითად, ვანდალიზმი და მცირე ქურდობა.

16. ჰომოსექსუალობა ისჯება და უკანონოა. თუმცა ნელნელა ჰომოსექსუალებს ღებულობენ და მკაცრად აღარ სჯიან, როგორც ეს ადრე იყო.

17. ჩანგის აეროპორტი ნამდვილი საპრიზო აეროპორტია და ასეთი რამ არასოდეს გინახავთ! მასში უზარმაზარი სავაჭრო ცენტრებია, სასადილო დარბაზები, რესტორნები და გასართობი ცენტრები. სანამ ელოდებით ფრენას, უფასოდ სარგებლობთ სათამაშო ოთახებით (რომლებშიც დგას სათამაშო აპარატები, ბილიარდის მაგიდები, კომპიუტერები და ა.შ.), კინოთეატრებით, ორქიდეის ბაღებით და სწრაფი „ვაიფაით“.

18. მანქანების რაოდენობის შესამცირებლად სინგაპურში ასეთი კანონია. თუ მანქანის ყიდვა გინდათ, ჯერ ყიდულობთ უფლებას იმოძრაოთ მანქანით ქუჩებში (ფასი დამოკიდებულია მანქანის ზომაზე და წონაზე). მსუბუქ მანქანებზე ამგვარი გადასახადი აჭარბებს 50,000-ს დოლარს აჭარბებს.

19. მანქანით მოძრაობის უფლების ვადა 10 წელია. ამის შემდეგ აზრი არ აქვს ვადის გაგრძელებას ძველ მანქანაზე, ამიტომ ყიდიან ძველ მანქანებს და ყიდულობენ ახალს, ახალი ნებართვით.

20. ყველაზე დიდი ორქიდეის ტროპიკული ბაღი სინგაპურშია.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლჩ,ჩ,ბ



მეუღლე გულნარა ჩიტაშვილი, შვილები ზურა, ზვიად ჩხეტიანები, რძალი მანანა ალთუნაშვილი, შვილიშვილები გიორგი, რატი, თამარი, დემეტრე ჩხეტიანები, დები ნანული, ლილი, როენა, მანანა, ძმები ნუგზარ და მურთაზ ჩხეტიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**როლანდ სიმონის ძე ჩხეტიანი**

პანაშვიდი: 6, 7 მარტს, 15 საათიდან, თბილისი, მუხიანი, III მიკრორაიონი, I კორპუსი, IX სადარბაზო, VI სართული, ბინა 170.

გამოსვენება: შაბათს, 8 მარტს, 14 საათზე, გლდანის ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან (გლდანის მეორე ხიდთან).

ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლჩ,ჩ,ბ ჰბბქჩ,ფ .ჯდჩქლქჩ7
რდბჰბს უფჰლფ7 !@–ლფყ!& ცფფსფვლჩ8

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 6 მარტი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 02.10** "დღეს" **14.00, 05.40** მხ/ფ **"მამიკოები" 17.00** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი" **18.00** ტ/სერ. **"დეიდაშვილები" 19.15, 04.10** "შემოძახილი" **21.00** ტ/სერ **"მეამბოხე მიწა" 22.00, 04.40** "არენა" **23.00** "უცნობი მუსიკა" **00.30** მხ/ფ **"თინეიშას დი-ბედის მედიატორი"**

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "ეფელი" **14.00, 16.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი" 20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო"

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00,11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა. **10.05** სერ **"ბედის ანაბარა" 11.20, 12.05** სერ **"შურისმაძიებელი" 12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ფულთან თამაში **16.03** სერ **"სიყვარულის დრო" 17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი" 21.00** სერ. **"სილა" 22.00** ქ.მხ/ფ **"გაიღიმეთ" 00.00** მხ/ფ **"რემბო – 3" 02.00** მის საქართველო **2013** – დღიური **02.25** მხ/ფ **"თავშესაფარი"** (ჯ.მური)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი" 11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. **"დასასრული" 18.55** სერ. **"ტიტების დრო" 20.00** სერ. **"ქალბატონი დილა" 22.00** პროფილი **00.30** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ. (ტიტ.)

**06.10** საგალობელი **06.20** დოკ/ფ "მესაზღვრე ბერები" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ჩვენი ფონდი **11.00** ქართული ალბომი **11.25** ეპოქის სახელები **12.10** დოკ/ფ "ნაძარცვის კვალდაკვალ" **13.15** ივერიის ეკლესია **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** ტელ./ფ "წმინდა ოთხთავი" IV ნაწ. იოანეს სახარება **16.15** კონცერტი - შავლეგ შილაკაძე "ლოცვა" **17.00** ანდრია კრეტელის დიდი კანონი (მსახურება) **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** "პორტრეტები" **20.10** ანდრია კრეტელის დიდი კანონი(საკითხავი) **20.20** დოკ/ფ "მებრძოლი ეკლესია" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.25** დოკ/ფ "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესამოსელი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ათონის ქართველთა სავანე" **23.50** ქვიშით ნამბობი **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**მაესტრო** **0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30, 14.00** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "რბოლა" **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **9.15** სერიალი "ჩემი შვილები" **10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქშოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური ამბები" (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** NX სპიკერი **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 20.00 სერიალი "დაკარგული დრო" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 2.15 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


6
marti

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,7486 | ევრო — 2,4122 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,9251 | 100 რუსული რუბლი — 4,8324 |

## ამინდის პროგნოზი 6 მარტისთვის




## ·ღტაფვ უფბსლფუბციობყტს= fcnhjghjuyjpb 6 მარტისთვის

**დჭპ'ბ** — სალამოს დაჯილდოვდებით, ამ დღეს დიდი ხანია ელოდით. **რეპჯ** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ნ.ეგჭ,ბ** — არ აჩქარდეთ, საქმეს მაინც მოასწრებთ. **რბპხ[ბ,ბ** — ფრთხილად, თორემ თქვენი პარტნიორი აღარ დაგელოდებათ! **ქჯპბ** — მშვენიერი დღეა, ახალი პერსპექტივები გადაგეშლებათ. **მფკოეკბ** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, ნუ გადაიღლებით. **ცფსოჯპბ** — წარმატებული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **ქპბფყრფკბ** — ახალი საქმე გაამართლებს, გამდიდრდებით. **ვიდბკლჯცფყბ** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ს[ბც პმფ** — შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით, გახარებული ხართ. **ვჭპო.ეკბ** — ისწავლეთ და იშრომეთ, ბოლო კეთილი იქნება. **სჭდპჭ,ბ** — თქვენს განწყობას თავს ნურავის მოახვევთ, არ არის საჭირო.

უბცეჰღტ,ს ,ტლყბტჰ ღქტს=

## h3xцpx3ლბ ფ

**შვეულად:** 1. სიცილიის ადმინისტრაციული ცენტრი; 2. თავის ქალას ზედა ნაწილი; 3. ფსიქიკური დაავადება, ბოდვებით, ზოგჯერ ჰალუცინაციებით; 4. ბუნებრივი ზონა აფრიკაში; 5. იტალიელი მოდელიორი; 6. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 11. ხელოვნური წყალსაცავი დასავლეთ საქართველოში; 13. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა; 14. ქაღალდის ფულის ნიშნების შემსწავლელი დისციპლინა; 15. გიგანტური ზომის გადაშენებული ქვეწარმავალი; 17. მგალობელი ჩიტი; 18. გულუხვი მასპინძელი; 19. კატარის დედაქალაქი.

**თარაზულად:** 7. ნაბეჭდი ტექსტის საზომი ერთეული; 8. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. მაღალმთიანი კლიმატური კურორტი აჭარაში; 10. აეროპორტი მადრიდში; 12. ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი; 14. მაღაროს გასანათებელი მეშახტეთა ფარანი; 16. გეოდეზიური ხელსაწყო; 18. სასწავლებელი, სადაც მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან ბინითა და კვებით; 20. თვითმფრინავის რეგულარული ფრენის მარშრუტი; 21. ქართული ჟურნალი; 22. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 23. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 24. ყვითელნაყოფიანი შემოდგომის ხილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




## ნიაზ დიასამიძე კონცერტს ქალებს მიუძღვნის



მომღერალი ნიაზ დიასამიძე ქალბატონებს კონცერტს მიუძღვნის და 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტს გამართავს. ნიაზ დიასამიძესთან ერთად კონცერტში მონაწილეობას მიიღებს, რა თქმა უნდა, ჯგუფი „33ა“.

კონცერტზე კარგად ნაცნობ და საყვარელ სიმღერებთან ერთად შესრულდება ახალი სიმღერებიც, რომელიც შესულია ჯგუფის მეშვიდე ალბომში „კაბერნე“. ახალი სიმღერები ფართო აუდიტორიის წინაშე ჯერ არ გაჟღერებულა.

ნიაზ დიასამიძე თავის ერთგულ მსმენელს ხშირი კონცერტებით არ ანებივრებს. მან ბოლოს ერთგული გულშემატკივრებისთვის პაატა ბურჭულაძის ფონდის „იავნანას“ მიერ გამართულ კონცერტზე იმღერა, სადაც აღნიშნა, რომ სიმღერა უკრაინელ ძმებს მიუძღვნა. მას მხარდაჭერის ნიშნად სახეზე უკრაინის დროშა ჰქონდა დახატული. ნიაზ დიასამიძის სიმღერამაც და პოზიციამაც ქართულ საზოგადოებაში დიდი მოწონება დაიმსახურა.

ამჯერად მომღერალი ახალ ალბომზე მუშაობს და უკვე სოლოკონცერტისთვისაც აქტიურად ემზადება, რომელიც თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით გაიმართება.

ეკა ირემაშვილი

## 2015 წლის სუპერთასს დინამო არენა უმასპინძლებს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ევროპის 2015 წლის სუპერთასის მატჩს „დინამო არენა“ უმასპინძლებს. როდესაც უეფა-მ 2015 წლის სუპერთასის თბილისში ჩატარება გადაწყვიტა, თავდაპირველად გაცხადდა, რომ მატჩი „მიხეილ



მესხზე“ ჩატარდებოდა.

თავდაპირველი გადაწყვეტილება იმიტომ იქნა მიღებული, რომ ფედერაციის აზრით, ტრიბუნები „მესხზე“ უფრო შეივსებოდა, თუმცა, გარკვეული სამუშაოების მერე გაირკვა, რომ არც „დინამო არენაზე“ დარჩება ადგილები. ერთია, უეფა-ს მოთხოვნით ბილეთის მინიმალური ფასი 30 ევრო უნდა იყოს. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ უეფა-ში გამონაკლისს დაუშვებენ და სუპერთასის მატჩზე ბილეთის ფასს დააწევინებს, რაც „დინამო არენის“ გავსების საშუალებასაც მისცემს.

ფედერაცია უეფადან სტუმრებს მიიღებს, რომლებიც სუპერთასისთვის თბილისის მზადყოფნას შეამოწმებენ. ხოლო სუპერთასთან ერთად თბილისში, სავარაუდოდ, ევროპის ორივე საკლუბო თასსაც ჩამოიტანენ და ღია ცის ქვეშ მუზეუმს მოაწყობენ.

სუპერთასის პარალელურად, ფედერაცია უეფასთან ერთად ჭაბუკებისთვის მასტერკლასების ჩატარებასაც აპირებს. საგანგებოდ ამისთვის, უეფა თბილისში მსოფლიოს ფეხბურთის რამდენიმე ვარსკვლავს გამოუშვებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## ლევან ანჯაფარიძე: გადადგეს მანანა ბერიკაშვილი!“

კინორეჟისორი ლევან ანჯაფარიძე მხარდამჭერებთან და თანამოაზრეებთან ერთად უკვე მეორე დღეა კანცელარიასთან საპროტესტო აქციებს მართავს. მისი თქმით, დროა ქართულ კულტურაში პროფესიონალები დაბრუნდნენ და სიმართლე ერთხელ და სამუდამოდ ყველამ გაიგოს.

**ლევან ანჯაფარიძე, კინორეჟისორი:**

– ყველა ხელოვანს და არახელოვანს, მოქალაქეებს, მეგობრებს გთხოვთ მობრძანდეთ აქციაზე კანცელარიასთან. ჩვენ ვაპროტესტებთ კულტურის სამინისტროს დამოკიდებულებას ქართველი ხელოვანების მიმართ. ვითხოვთ გადადგეს დღევანდელი „კულტურის მინისტრი“ მანანა ბერიკაშვილი დაკავებული თანამდებობიდან და თან გაიყოლოს ნაც ხროვის წარმომადგენლები კინოცენტრის დირექტორი ნანა ჯანელიძე და კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის რექტორი გოგი მარგველაშვილი, ასევე სასწრაფოდ მოხდეს ძირეული რეფორმები ჩვენს სფეროში. ქართულ კულტურაში პროფესიონალების დაბრუნების დროა. ქართული კინოსა და თეატრის, მწერლობის, სახვითი ხელოვნების, მუსიკის და სხვა სახელოვნებო დარგების პრობლემების შესახებ ვითხოვთ ყურადღებას ხელოვანი ადამიანების მიმართ და ახალი რეფორმების გატარებას, რასაც სამართლიანობის აღდგენა ჰქვია კულტურის სფეროში. ამ აქციებზე ველოდებით ყველას, ვისაც ქართველ ხელოვანთა ბედი აღელვებს.



***– რატომ დაიწყეთ საპროტესტო აქციები?***

– წლების მანძილზე, ქართულ კინოში გაწუკითხაობა სუფევს, ფილმების გადაღების შესაძლებლობა ერთსა და იმავე ხალხს ეძლევა, სხვა შემოქმედები კი დაბლოკილები არიან. 2013 წელს ეროვნული კინოცენტრის დირექტორად დაინიშნა ნანა ჯანელიძე. მის დანიშვნას უშუალოდ ლობირებდა კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი. კინოსა და თეატრის პრობლემები იმდენად ემთხვევა ერთმანეთს, რომ შეიძლება გაგეცინოთ, სულ ერთი და იგივე პრობლე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე




მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი

ფელიქს ლაპიცკი



ატარებს რეაბილიტაციას რთული მოტეხილობის შემდგომ მოძრაობის აღდგენით



ასწორებს:
- აღნაგობის დარღვევას
- სქოლიოზს
- გულმკერდის დეფორმაციას
- „ქათმისებურ მკერდს“

მკურნალობს:
- ოსტეოქონდროზს (მარილებს)
- ზურგის არეში ტკივილებს
- რადიკულიტს
- უძილობას, ნევროზს
- თავბრუსხვევას

ტელ.: 232 47 38; მობ.: 595 63 92 94
E-mail: felix_lapitski@yahoo.com

მარიამ ლაპიცკი

გთავაზობთ ჩვილ ბავშვთა სამკურნალო მასაჟს

მობ.: 598 40 53 08